# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 ოქტომბერი 2008 №236 (3460) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველომ მიკროფონივით ითამაშა



## კვიპროსმა ქულა თავს დააბრალოს

ზურაბ ქურციკიძის ფოტო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატანაშვილი ამერულად: შედის, გააქვს, გააქვს...



**ჩეხური** „პლზენის“ თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი თავის გუნდს დუბლით შეეწია — ეს „ტეპლიცესთან“ გასვლით ამხანაგურ მატჩში მოხდა.

ჩვენიანი მე-60 წუთზე შეცვლაზე შევიდა, როცა ანგარიში 1:1 იყო და დარჩენილ დროში ორი გოლით გადაწყვიტა მატჩის ბედი — ლუდისქალაქელებმა 3:1 იმარჯვეს.

ამით ტატანაშვილმა ალბათ მესიჯიც გაუგზავნა „პლზენის“ ახალ თავკაცს პაველ ვრბას — ძირითადი ფორვარდი მე უნდა ვიყოო.

ისე, „ტატანა“ შეცვლაზე შესვლისას რომ უფრო ეფექტურია, ამაში „ამერში“ თამაშის დროსაც გვარწმუნებდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# სიონის სანაკრებო გასვლა

**სანაკრებო** მატჩების გამო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში საკმაოხნიანი პაუზაა და ბოლნისის „სიონიც“ დროს უქმად არ კარგავს.

ბოლნისელები დღეს აზერბაიჯანში, ქალაქ ზაქათალაში გაემგზავრნენ, სადაც ხვალ იქაურ „სიმურგს“ გაეჯიბრებიან ამხანაგურად.

შეგახსენებთ, რომ „სიმურგში“ ოთხი ქართველია — დავით ბოლქვაძე, მიხეილ მახვილაძე, კახა ჩხეტიანი და გრიგოლ დოლიძე.

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა I წრე. 7 ტური

# გვაძაბიამ მსაჯს დაასწრო

**დაძაბული** და საინტერესო გამოდგა „ამერი“ — „ნორჩი დინამოს“ გუშინდელი მატჩი.

ამერელებმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღეს და აღმოსავლეთ ზონის თანალიდერები გახდნენ საჩხერის „ჩიხურასთან“ და თბილისის „დინამოსთან“ ერთად.

მასპინძლებმა მე-4 წუთზე შეძლეს პირველი გოლის გატანა — თავი ირაკლი ხუციძემ გამოიჩინა.

მერეც „ყვითლები“ ფლობდნენ უპირატესობას და რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, თუმცა აქედან არაფერი გამოუვიდათ.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა თამაში გამოასწორეს, თუმცა რომ ვთქვათ, საგოლე მომენტები შექმნესო, მართლები არ ვიქნებით. პირიქით, ამერელ ბესიკ ჩიმაკაძეს ჰქონდა თითქმის ასპროცენტიანი შანსები.

მთავარი ამბები კი ბოლო ხუთ წუთში მოხდა: ანზორ კალაძემ ჯარიმიდან 85-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში და ყველას რომ ეგონა, გუნდები ქულებს გაიყოფენო, „ამერმა“ გაიხარა. ზურაბ გვაძაბიამ მეკარეს დაასწრო და თავურით იხეირა — 2:1.

**კახა ზალამბერიძე**

**ამერი 2:1 ნორჩი დინამო**

1:0 ხუციძე (4), 1:1 კალაძე (85), 2:1 გვაძაბია (90)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე (ბუმბეიშვილი 87), გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე, ხუციძე, ტიკურიშვილი (გ. ხელაძე 46), ლ. ბოჯგუა, ცხოვრებაშვილი, ნ. ქებაძე (ბენდელიანი 64), ჩიმაკაძე

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ფუტკარაძე, გ. ჯელაძე, ჯინიკაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ბ. მამარდაშვილი, დაბრუნდაშვილი, ა. კალაძე, ცინცაძე, გურაბანიძე, გ. გრიგალაშვილი, ღვთისავრიშვილი (ჩიხლაძე 76), ლაბარტყავა (კ. ნაჭყებია 68), უხურგუნაშვილი (ლ. გაბუნია 46), ქავთარაძე

სათადარიგონი: ედიშერაშვილი, კ. დევიძე, დემეტრაშვილი, ბოკუჩავა

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: გვაძაბია

მსაჯი: ლ. სილაგავა

100 მაყურებელი

**სამტრედია 5:2 ხობი**
**ჭიათურა 2:0 ზესტაფონი 2**
**კოლხეთი 5:2 ბათუმი**
**მეშახტე 0:1 ტორპედო 2008**

14 ოქტომბერი

**გურია — მერანი (მ)**

**გადადებული მატჩი**

**მერანი (მ) 2:1 ბაია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:4 | 16 |
| კოლხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ბაია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| მერანი (მ) | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:8 | 5 |
| ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | 5 |
| ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1:6 | 4 |
| მეშახტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

**კახეთი 0:2 ჩიხურა**
**ამერი 2:1 ნორჩი დინამო**
**გაგრა 2 1:1 ვიტ ჯორჯია 2**
**სიონი 2 3:3 ჰერეთი**

13 ოქტომბერი

**დილა — დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 7 | 4 | 2 | 1 | 18:6 | 14 |
| დინამო 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ამერი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 12 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| სიონი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:16 | 8 |
| თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ნორჩი დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 |
| გაგრა 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:16 | 4 |
| ჰერეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |
| კახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | 3 |



გაიოზ კობიაშვილის ფოტო

# ჩვენი მეტოქეები

**ბულგარეთი 0:0 იტალია**

**ბულგარეთი:** ივანკოვი, ტუნჩევი, ვაგნერი (ივანოვი 37), ილიევი, დიმიტროვი, იანკოვი, ს. პეტროვი, მ. პეტროვი (პოპოვი 90), გეორგიევი, მილანოვი

მწვრთნელი: პლამენ მარკოვი

**იტალია:** ამელია, ძამბროტა, დოსენა, კიელინი, ფ. კანავარო, გატუზო, დე როსი, მონტოლივო (პეროტა 68), დი ნატალე (როსი 68), პეპე, ჯილარდინო (ტონი 73)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: კიელინი, დე როსი

# ბულგარელები მშრალად მოდიან




**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მეტოქეებმა, ბულგარეთმა და იტალიამ სოფიაში უგოლო ფრე გაათამაშეს.

ცნობისთვის, იტალიას სოფიაში არასოდეს მოუგია.

ბევრი ვერაფერი თამაში გამოდგა, ძალიან ცოტა მომენტი იყო.

იტალიის ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდას დებიუტი ჰქონდა — უდინეზელმა სიმონე პეპემ 90 წუთი ითამაშა, ვილიარეალელი ჯუზეპე როსი კი 68-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და უნდა ითქვას, რომ ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

პირველი ტაიმი ისე გაილია, არც ერთ კართან მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ასე თუ ისე სახიფათო დარტყმა პეპემ განახორციელა — კარისკენ მიმავალ ბურთს ჯილარდინო ვერ შესწვდა, თორემ ანგარიში გაიხსნებოდა.

მარჩელო ლიპიმ ხუთწუთიან მონაკვეთში სამი შეცვლა განახორციელა და როსიმ რამდენჯერმე გაამწვავა თამაში, თუმცა შედეგიანი დარტყმები ვერ გამოუვიდა.

ბულგარელებმა მეტოქის მეკარემდე პირველად ბურთი 87-ე წუთზე მიიტანეს — იანკოვიჩის დარტყმის შემდეგ თამაშში ამელია ჩაერთო, მანამდე კი „მანჩესტერში“ ცოტა ხნის წინ გადასულ დიმიტარ ბერბატოვს შეეძლო გატანა, თუმც ფაბიო კანავარომ დაუფარა და განმუხტა მდგომარეობა.

ნამატჩევს იტალიელთა თავკაცი კმაყოფილი იყო: „მომეწონა დებიუტანტების თამაში და ასევე მათიც, ვისაც ნაკრებში ცოტა მატჩები აქვთ გამართული. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა გუნდის მოგებისკენ ლტოლვამ და ისეთ რთულ სათამაშო სიტუაციაში, როგორიც სოფიაში იყო, ტემპი კარგად შევინარჩუნეთ. ჩვენ კარგად შევისწავლეთ ბულგარეთის ნაკრების სტილი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ მათი შეტევების 90 პროცენტი ბერბატოვზეა აწყობილი, თუმც ამ შეხვედრაში ჩვენმა დაცვამ ძლიერად ითამაშა და ბერბატოვს გასაქანი არ მისცა.“

რა შეხსენება უნდა, რომ 15 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ბულგარეთს უმასპინძლებს. იტალიელმა მცველებმა კი მოახერხეს ბერბატოვის გაჩერება, მაგრამ საკითხავი ისაა, ჩვენები შეძლებენ?

**ნუკრი ლოლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩერნოგორია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

# თარგამაძის ტაიმი და ივანიშვილის გოლი

**დავით თარგამაძემ** მორიგი მატჩი ჩაატარა გერმანულ „ფრაიბურგში“ — მისმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში 4:2 სძლია შვეიცარიულ „შაფჰაუზენს“.

19 წლის ქართველი მარჯვენა გარემარბი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე, როცა ანგარიში 3:2 იყო.

აღსანიშნავია, რომ „ფრაი“ თავიდან 0:2 აგებდა.

გიორგი ივანიშვილმა კი „ციურიხ U21“-ში შეაგდო გოლი. ციურიხელები ჩემპიონატში „მანდრიზიოსთან“ აგებდნენ და ქართველმა ფორვარდმა გაათანაბრა. გიორგიმ 70 წუთი დაჰყო მინდორზე.

**ილია ნანოგაშვილი**

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

თბილისი. 11 ოქტომბერი. 20.30 საათი. ეროვნული. 42 000 მაყურებელი

## საქართველო 1:1 კვიპროსი

0:1 კონსტანტინუ (66), 1:1 კობიაშვილი (73)

*კონსტანტინუმ ვერ გაიტანა პენალტი (52, მცარე)*

საქართველო: ლომაია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, შაშიაშვილი, რაზმაძე, მენთეშაშვილი, კობიაშვილი, ა. იაშვილი, ყენია (ბ. გოცირიძე 65), მჭედლიძე (ალექსიძე 75) სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, კვახაძე, სირაძე, ოდიკაძე, ხმალაძე
მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი

კვიპროსი: გიორგალიდისი, ხარალამბუსი, კონსტანტინუ, ხრისოსტომოსი (ნიკოლაუ 36), ხარალამბიდისი, მარიოსი (ლამბროუ 83), გარპოცისი, კონსტანტინოსი, ოკასი, კონსტანტინუ, ალონეფტისი სათადარიგონი: ავგუსტი, პაპატანასიუ, მარაგკოსი, ხრისტოფი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

გაფრთხილება: ხარალამბიდისი (32), სალუქვაძე (52), ხიზანიშვილი (80), ალექსიძე (84), კონსტანტინუ (90)

მსაჯები: რ. მატეიეკი, პ. ფილიპეკი, ი. ჩიტილი, ლ. კოვარიკი (ყველა ჩეხეთი)

დამკვირვებელი: მ. ვოტრო (საფრანგეთი); დელეგატი: გ. კაპლი (ავსტრია)


ლევან კობიაშვილის გამთანაბრებელი

# საქართველო ნაკრებმა მიკროფონივით ითამაშა

კობა ინასარიძე

**საქართველოსთან** ფრე მხოლოდ იმ შემთხვევაში დამაკმაყოფილებს, თუ მეტოქემ თამაშით გვაჯობა, მაგრამ მოგება ვერ შეძლო. ხოლო თუ საპირისპიროდ მოხდება, ჩვენთვის ეს საწყენი იქნებაო — ეს სიტყვები კვიპროსის ნაკრების მწვრთნელმა ანგელოს ანასტასიადისმა პარასკევის პრესკონფერენციაზე თქვა და ახლა, როცა საქართველო — კვიპროსის მატჩი უკვე ჩავლილია, ვეჭვობთ, სტუმართა თავკაცი ძალიან დალონებული და გულგატეხილი არ იყოს...

კვიპროსის ნაკრები ალალად იმსახურებდა მოგებას და ეს თუ ვერ მოახერხა, პირველ ყოვლისა, იღბალს, თავიანთ მცველებს მარიოსსა და ხარალამბუსს და მეგოლე კონსტანტინუს დააბრალოს. ჩვენ კი... უფრო სწორად, ჰექტორ კუპერმა და მისმა სამწყსომ მადლობა თქვან, რომ ერთ სირცხვილსაც გადარჩა და საკუთარი მოედნიდან კვიპროსს სამი ქულა არ გაატანა.

...საჩვენოდ ცუდი ამბები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი თითქმის გადაჭედილი „ეროვნულის" მოედანზე გამოჩნდა და სიკვდილის შემდეგ უფროსი ნოდარ ახალკაცის ღირსების ორდენით დასაჯილდოებლად ქართველი ქომაგისადმი მისასალმებელი სიტყვა უნდა ეთქვა. ვაგლახ, იმ დროს მიკროფონი გაფუჭდა!

მატჩი დაიწყო და, უკვე ხუთ წუთში ხელები თავში წავიშინეთ — ზურაბ ხიზანიშვილმა ბურთი ისე უხეიროდ დაუგორა ნაკრებში დაბრუნებულ მეკარე გიორგი ლომაიას. გოლამდე სულ ცოტა დააკლდა. ბედად ლომაიამ იყოჩაღა და სტუმრებს არ გაატანინა, სამაგიეროდ, ფეხი იტკინა.

კუპერს შეტევითი სისტემა არც ამჯერად შეუცვლია — გამოკვეთილ ფორვარდად ლევან მჭედლიძე ჰყავდა, ფლანგებიდან შემტევებად კი ალექსანდრე იაშვილი და ლევან ყენია, ვისაც დროდადრო დებიუტანტი ლუკა რაზმაძე ენაცვლებოდა. უკანა ხაზს ოთხი მცველი ამაგრებდა და სამი ფეხბურთელიც საყრდენობას კისრულობდა. მოკლედ, რასაც ველოდით, კუპერმა ისევ ის გვაჩვენა. ჩვენებს მეტოქე ნელ-ნელა უნდა შეევიწროვებინათ, მაგრამ სტუმრებიც ისე კომპაქტურად თამაშობდნენ, მასპინძელთათვის კარგის მომასწავებელი არაფერი იგრძნობოდა...

თუმც საქართველოს ნაკრებს შესვენებამდე დაწინაურება შეეძლო: რაზმაძემ შორეულ ძელს მოარტყა ბურთი. მეკარე გიორგიადისი გამოსვლაზე უხეშად შეცდა და რაზმაძემაც დაარტყა, სამწუხაროდ, მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა.

ისე, სტუმართა მეკარე ვახსენეთ და, მისი ქართველი კოლეგის მისამართით მადლობის მეტი რა ითქმის — გიორგი ლომაიამ, ორჯერ, რომ იტყვიან, მკვდარი ბურთი მოიგერია და კიდევ პენალტი აილო!

მეკარეს სხვა რა მოეთხოვება?! გადასარჩენი გადაარჩინა და როცა მოგერიების შანსი აღარ იყო, იმ დარტყმულს, ცხადია, ვერაფერი მოუხერხა.

ლომაია შაბათ საღამოს კაპიტან ლევან კობიაშვილთან ერთად საუკეთესო იყო მასპინძელთა მხარეს.

შესვენების შემდეგ საქართველომ თითქოს ტემპს მოუმატა და უფრო აგრესიულად შეუტია, მაგრამ მალევე...

სტუმრებმა საქართველო კონტრშეტევაზე დაიჭირეს. მარიოსმა მარცხენა ფლანგზე ალონეფტისს უპასა, ამან გარპოცისთან გაითამაშა ბურთი და საჯარიმოში შეიჭრა. კვიპროსელთა ძალიან ტექნიკურ და უსწრაფეს ალონეფტისს ლაშა სალუქვაძემ ვერაფერი მოუხერხა და ბურთის ნაცვლად ფეხი მის ფეხს მოარტყა — პენალტი, რაც არავის გაუპროტესტებია, ნაღდი იყო და იმიტომ.

კონსტანტინუმ დაარტყა, მაგრამ ლომაიამ იყოჩაღა!

საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა სკამზე ერთი ამბავი ატყდა, ერთმანეთს ულოცავდნენ, აქაოდა, თამაში უკვე ჩვენიაო. რაღა დავმალოთ და, ჩვენც ასე ვიფიქრეთ, წესით, რიგით და ყველანაირი ლოგიკით, ასეთი ვითარებისას ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენების უნდა ყოფილიყო, თანაც მეტოქე კვიპროსი გახლდათ. არაფერიც არ გამოვიდა.

კუპერის თამაშის ხედვა შაბათს კიდევ უკეთ გამოჩნდა — ჯერ დაცვა და საკუთარ კარზე ზრუნვა, მერე შეტევა. საქართველოს ნაკრების თამაში არც კვიპროსელთა გაცუდებული პენალტის შემდეგ გაუმჯობესებულა და ამასობაში კონსტანტინუმ თავისი იაღლიშიც გამოასწორა — იმავ ალონეფტისის ჩაწოდებულს ზუსტად მიაყოლა თავური და კვიპროსიც დაწინაურდა. დაცვის ხაზის ელემენტალური შეცდომა იყო, ფორვარდმა ორ მცველშუა დაარტყა, მცველები კი ერთმანეთისგან ბარე ათი მეტრის დაშორებით იყვნენ.

რამდენიმე წუთში ალონეფტისმა შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ლომაიამ იხსნა გუნდი, ბურთს თითები გაჰკრა და კარს უკან გადააგდო.

თამაში სტუმრებისა იყო და ცოტა უფრო ყოჩაღი გუნდი, იმ მარტივი შეცდომების გამო, რაც ჩვენებს ჰქონდათ, კიდევ ბევრ გოლს გაიტანდა. სანუგეშო არაფერი ჩანდა და კლასის ამბავიც სწორედ მაშინ მოხდა: ხარალამბუსი და მარიოსი ბავშვურად შეცდნენ, რითაც ჯერ მჭედლიძემ ისარგებლა და ბურთი კობიაშვილს დაუგორა, ეს კი საჯარიმოს ხაზს მიუახლოვდა და კარშიც უზუსტესად დაარტყა — 1:1.

მერე გაჩნდა იმედი, სტადიონიც ახმაურდა. ფეხბურთელებსაც „მეორე სუნთქვა გაეხსნათ", მაგრამ აღმოჩნდა, რომ გვიანი იყო — თუმცა სულ ბოლო წუთზე იაშვილის დარტყმული ზუსტი რომ ყოფილიყო, ამის თქმა, ალბათ, არ მოგვიწევდა.

და მაინც: სტუმართა მწვრთნელი გულგატეხილი იქნება — მისი გუნდი თბილისურ სამ ქულას იმსახურებდა.

ზეგ კი „ეროვნულზე" ბულგარეთს ველით...

## პრესკონფერენცია

*ანგელოს ანასტასიადისი:* შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი დავრჩი. მოგებაც შეგვეძლო, თუმც საქართველოსაც ჰქონდა ამის შანსი. მატჩის მიწურულს მასპინძლებს მომენტი შეექმნათ და ის ბურთი რომ გასულიყო, ვითარების გამოსწორება ძალიან გაგვიჭირდებოდა. რაც შეეხება მსაჯობას, უკმაყოფილო დავრჩი, პირველი ყვითელი ბარათი ჩვენს ფეხბურთელს არ ეკუთვნოდა. რამდენჯერმე მეტოქის ფეხბურთელები იმსახურებდნენ გაფრთხილებას. მოხარული ვარ, რომ გოლი კონსტანტინუმ გაიტანა, რომელმაც მანამდე პენალტი ვერ გამოიყენა და ფსიქოლოგიური წნეხი მოიშორა. გოლი კი დაცვის უხეში შეცდომით მივიღეთ, არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ამის არიდება. კვიპროსის ნაკრები პროგრესირებს და იმედია, ასეც გავაგრძელებთ.

*ჰექტორ რაულ კუპერი:* ერთი ქულით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ და მეტოქეს ვაჯობეთ, საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმი განსხვავებული იყო, დავთმეთ უპირატესობა, უფრო გახსნილი თამაში წავიდა და დაცვაში გაგვიჭირდა — კვიპროსის ყველა კონტრშეტევა სახიფათო იყო. დაცვაში შეცდომები გვქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ 11 ნომერს მაღალ ბურთებს აწვდიდნენ. დაცვის შეცდომები ბუნებრივია — ფეხბურთს ხომ მეტოქეც თამაშობს. პენალტისას გაგვიმართლა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გაშვებული ბურთის შემდეგ გუნდმა ხასიათი გამოავლინა და ანგარიში გავათანაბრეთ. იაშვილს ცოტა რომ გამართლებოდა, მოგებაც შეგვეძლო. დებიუტანტმა ლუკა რაზმაძემ მთელი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა. რაც შეეხება ყენიას შეცვლას, ეს ტაქტიკური სვლა იყო — ბექა გოცირიძე საკმაოდ კარგად ჩაერთო თამაშში. ეს ფრე ნამდვილად არ გვახარებს და ვალდებულნი ვართ, ოთხშაბათს ბულგარეთს მოვუგოთ.




ბექა გოცირიძე და რატი ალექსიძე თამაშში აქტიურად ჩაერთვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბლატერმა საგურამოში გოლი ნახა






გაჟანი კოთოლაძის ფოტოები

**ღიმილიანი,** ენერგიული, მიმიკებით მოსაუბრე და კიდევ, გაცილებით ახალგაზრდული იერის მქონე, ვიდრე ეს ტელევიზორში ჩანს — ასეთია ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, რომელიც გუშინწინ 13 საათზე ჩამოფრინდა თბილისში ფიფას სხვა მესვეურებთან ერთად.

ბლატერს მისი თანაშემწე გიფილიპ მატიუ, ფიფას პროგრამების ევროპის ქვეყნების კოორდინატორი ევა პასკიე და ბლატერის მედია-ოფიცერი ანდრეა ტოლინგერი ჩამოჰყვნენ.

ნაშუადღევს, ოთხის ნახევარზე დიდ სტუმრებს საგურამოს ტექნიკურ ცენტრს ეწვივნენ ამ ცენტრის მშენებლობა ხომ ფიფას პროგრამა „გოლის" მეშვეობით განხორციელდა.

საგურამოს ტექნიკურ ცენტრში ბოლომდე აუშენებელი შენობიდან სამ მინდორს დაინახავთ — პირველი ორი ბუნებრივსაფარიანი, მესამე კი ხელოვნური. სამივე სტანდარტული ზომისაა. სამივე მოედანზე ბალახი თითქმის იდეალურია, უბრალოდ, სამუშაოები მიმდინარეობს (როგორც შენობაში, ისე მოედანზე) და საბოლოოდ, სავარაუდოდ, გაის გაზაფხულზე ყველაფერი დამთავრებული იქნება.

ცხადია, ცენტრში ბლატერთან ერთად იყვნენ საქათრველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ფედერაციის ყველა მაღალჩინოსანი.

„მოხარული ვარ, რომ დღეს ტექნიკური ცენტრის გახსნა შედგება. დიდი მადლობა ფიფას პრეზიდენტს საქართველოში სტუმრობისთვის" — თქვა ახალკაცმა და ჯერ ბლატერთან ერთად შენობაზე ფიფას ვიმპელი ჩამოკიდა, შემდეგ კი შენობაში შესვლამდე ლენტი გაჭრეს.

თავის მხრივ, ბლატერმაც ისაუბრა: „მეორედ ვიმყოფები საქართველოში და ეს ჩემთვის დიდი პატივია. მოხარული ვარ, რომ საგურამოს ბაზაზე დიდი სამუშაოები ტარდება, რომლისთვისაც ფიფამ „გოლის" პროგრამის სახით 400 000 დოლარი გაიღო...

...ეს მოედნები დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ ფეხბურთს. ჩემი ვიზიტი სამ მიზანს ემსახურება: პირველ რიგში, დავათვალიერებ ტექნიკურ ცენტრს; დავესწრები საქართველო — კვიპროსის მატჩს, რომელიც 2010 წლის მუნდიალის პირველი შესარჩევი საშინაო შეხვედრაა თბილისში..."

...აი, მესამე მიზანზე კი ბლატერმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა...

ჰო, ბლატერმა 8-10 წლის ბავშვებთან ხელოვნურსაფარიან მინდორზე ბურთიც გააგორა, შემდეგ სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო მათთან.

საგურამოდან ფიფას დელეგაცია ეგრევე „თბილისი მარიოტისკენ" გაეშურა და პრესკონფერენცია 17 საათზე დაიწყო:

— უნდა ვთქვა, რომ საგურამოს ცენტრში ნანახით ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ასეთი კარგი კომპლექსი ექნება, რაც, უდავოდ, წაადგება ქართული ფეხბურთის განვითარებას. მეამაყება, რომ ამაში ფიფამ წვლილი შეიტანა...

...დღეს დავესწრები საქართველოს ნაკრებისთვის მნიშვნელოვან მატჩს. სამწუხაროდ, საქართველომ პირველი მატჩის გამართვა შინ ვერ მოახერხა — ცნობილი მოვლენების გამო ირლანდიას გერმანიაში ეთამაშა...

...და ჩემი ჩამოსვლის მესამე მიზანი გახლავთ უფროსი ნოდარ ახალკაცი. ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ფიფამ გადაწყვიტა, ნოდარ ახალკაცი გარდაცვალების შემდეგ დააჯილდოვოს ღირსების ორდენით და ამ ნაბიჯით უკვდავყოს მისი სახელი. უფროსი ახალკაცი მოსკოვში გარდაიცვალა 10 წლის წინ, წლეულს კი მას 70 წელი შეუსრულდებოდა.

— რომელ პიროვნებებს აქვთ მიღებული ფიფას ღირსების ორდენი და რა კრიტერიუმებით?

— ეს ჯილდო წელიწადში ორჯერ გადაიცემა ფეხბურთში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ფიფამ გადაწყვიტა, რომ ყველა ლაურეატი დაჯილდოვდეს მისსავე ქვეყანაში.

— რა აზრის ხართ ვიდეორეფერის შემოღებაზე? ფეხბურთში ძალიან ხშირია საკამათო სიტუაციები და ამის გამო სკანდალებიც აგორებულა — ვგულისხმობთ გოლის ჩათვლა-არჩათვლით გამოწვეულ სიტუაციაზე...

— აქტუალური საკითხია და ახლაც ბევრია დამოკიდებული მსაჯის მიერ თამაშის კონტროლზე. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მსაჯმა ჯეფ ჰერსტის გოლი ჩათვალა, თუმც დღესაც დავაა, იყო თუ არა ის გოლი ჩასათვლელი, ანუ გადაკვეთა თუ არა ბურთმა ხაზი. ფიფას სამი სისტემა ჰქონდა მოფიქრებული ასეთი სიტუაციების გაკონტროლებისათვის და ყველაზე ეფექტური, თითქოს ჩიპიანი ბურთი უნდა ყოფილიყო, თუმც ყველა ბურთს რომ ჩიპი ჩაუსვან, ეს სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას გააძვირებს და სხვა სახეს მისცემს. ეს პროექტი იაპონიაში გამართულ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე განვახორციელეთ...

...მეორე სისტემაა ჩოგბურთში დანერგილი ვიდეოანალიზის მეთოდი, თუმც ეს ფეხბურთში ვერ დაინერგება, რადგან ჩოგბურთისგან განსხვავებით, ფეხბურთში ბურთმა კარის ხაზი შეიძლება ჰაერშიც გადაკვეთოს...

...მესამე სისტემა იტალიურია, თუმც საბოლოოდ, ამაზე მხოლოდ ითქვა და არავის შემოუთავაზებია. ამიტომ დაგვრჩა ორი დამატებითი ლაინსმენის გამოყენების ვარიანტი, რომელიც გამოიცადა კიდეც სლოვენიაში გამართულ 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში. თუმც მაინც იქით მივდივართ, რომ ფეხბურთი შეცდომების გარეშე არ არსებობს და ასეთად უნდა მივიღოთ ეს თამაში.

— ხშირად ხდება, როცა ბობოლა კლუბები ფეხბურთელებს სანაკრებო თამაშებში არ უშვებენ, ან თუ უშვებენ, დაგვიანებით. ფიფას რა მექანიზმები აქვს ამის საწინააღმდეგოდ?

— ეროვნული ფედერაციები კლუბებისგან შედგება და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ შეთანხმება შეფერხების გარეშე მოხდეს ხოლმე. ეს ფიფას კონგრესზე გადავწყვიტეთ კიდეც. ფიფამ უეფას მიანიჭა მანდატი, რომ ლეგიონერთა 6+5 სისტემას დაუჭირონ მხარი. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევები სულ უფრო იშვიათად ხდება, თუმც მსგავსი პრობლემები არა მარტო ფეხბურთში, კალათბურთში, ჰოკეიში, რაგბისა თუ ფრენბურთშიც არის.

— გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კლუბების საკუთარ ჩემპიონატში დაშვების სურვილი გამოთქვა. ამაზე რას იტყვით?

— ეს საკითხი წმინდა პოლიტიკურია, ამიტომ მე ვერ გიპასუხებთ.

დაბოლოს, ფიფას შვეიცარიელმა პირველკაცმა ნოდარ ახალკაცს საქართველოში ვიზიტის დამადასტურებელი მედალი და ფიფას ვიმპელიც გადასცა.

ბლატერს ჰკითხეს, საქართველო — კვიპროსის მატჩში ვის უქომაგებდა და მანაც ღიმილით უპასუხა — მსაჯებს. შემდეგ კი დაამატა, მე ყოველთვის ფეხბურთს ვქომაგობ...

**ილია ნანობაშვილი**






გაჟანი კოთოლაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლომაიამ პენალტიც მოიგერია



ბადრი კიკილაძის ფოტო

# ნაკრებში დაბრუნება ძალიან გამიხარდა

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მესამე მატჩში კვიპროსის ნაკრებთან შინ 1:1 ითამაშა და პირველი ქულა მიითვალა. ამ შეხვედრის მნახველ ქართველ გულშემატკივრებს ალბათ ნერვები დააწყდა — ჩვენებმა სასურველი ფეხბურთი ვერ ითამაშეს, თუმც ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებულ გიორგი ლომაიაზე ამას ვერ ვიტყვით...**

— რას იტყვი კვიპროსთან მატჩზე?

— კვიპროსს რომ ხელწამოსაკრავი ნაკრები არ ჰყავს, ეს იტალიასთან შეხვედრისასაც დაამტკიცეს — დიდი ბრძოლა გაუმართეს იტალიელებს და ცოტა რომ გამართლებოდათ, დაამარცხებდნენ კიდეც. საერთოდაც, კვიპროსული ფეხბურთი პროგრესს განიცდის. „ანორთოსისის“ ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლაც ამის დადასტურებაა. ამ ქვეყანამ დიდი ინვესტიცია ჩადო ფეხბურთში და შედეგიც სახეზეა.

— რამდენად ლოგიკური იყო ფრე?

— როგორც მათ, ასევე ჩვენც გვქონდა გატანის რამდენიმე რეალური მომენტი. ჩემი აზრით, ფრე მაინც სამართლიანი შედეგია.

— კარგა ხანი არ გიძახებდნენ ნაკრებში... საკმაოდ შთამბეჭდავი დაბრუნება კი გამოგივიდა — პენალტიც მოიგერიე და რამდენჯერმე გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინე...

— ძალიან მიხარია, რომ ნაკრებში დავბრუნდი. რამდენად კარგი თამაში გამომივიდა, ეს სპეციალისტებმა უნდა შეაფასონ. მთავარია, ახლა სტაბილურად ჩავჯდე ნაკრებში და მას წარმატების მიღწევაში დავეხმარო.

— მთლიანობაში მაინც როგორ შეაფასებ თამაშს?

— ექტორ რაულ კუპერი ახალი მწვრთნელია და ნელ-ნელა გუნდს უკეთესობა ეტყობა. კვიპროსთანაც საქართველოს ნაკრებს ცუდად არ უთამაშია. ნაუცბათევად შედეგი არ მოვა, ყველაფერს დრო სჭირდება.

— ჩვენი დაცვის ხაზს კი ძალიან ბევრი უხეში შეცდომა ჰქონდა...

— ორივე გუნდმა შეტევაზე გააკეთა აქცენტი და ალბათ ამიტომაც იყო შეცდომები ორივე გუნდის დაცვაში.

— 15 ოქტომბერს ბულგარეთს ვმასპინძლობთ. შეკრებაზე ხართ?

— ახლა უკვე ბაზაზე უნდა წავიდე. ოდნავ ფეხი მაწუხებს, თუმც საშიში არაფერია და ბულგარეთთან მატჩისთვის მწყობრში ვიქნები.

— შანსები?

— ბულგარეთი კვიპროსზე უკეთესი გუნდია და ძალიან მძიმე ბრძოლა გველის. ჩვენ შინ ვთამაშობთ და წარმატების მისაღწევად ყველაფერი უნდა ვიღონოთ. როცა იბრძვი, დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს.

**ნუქრი ლოლაძე**

# სანდრო კობახიძე დნიპროს მომენტებით დაბრუნდა



**სანდრო კობახიძემ** საკმაოხნიანი შესვენების შემდეგ „დნიპროს“ ძირითად გუნდში ითამაშა.

სავარაუდოდ, ეს იმიტომ, რომ ვლადიმირ ბესონოვის ცხრა შეგირდი სხვადასხვა ნაკრებშია წასული, თუმცა სანდროს შანსი მიეცა და უნდა გამოიყენოს.

„დნიპრომ“ ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ 1:0 სძლია ევგენი კუჩერევსკის ხსოვნის თასის ნახევარფინალში.

ვინც არ იცის, კუჩერევსკი საბჭოეთის დროინდელი ძლიერი „დნეპრის“ მწვრთნელი გახლდათ და სსრკ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც მუშაობდა.

კობახიძე ზაპოროჟიელებთან 65-ე წუთზე შევიდა მინდორზე და ორჯერ გატანაც შეეძლო, თუმც ერთხელ ფლანგურ პასს ვერ მისწვდა, მეორედ კი ოდნავ ააცილა უძლიერესი დარტყმით.

**ილია ნანობაშვილი**

# რატომ აწვალებთ ხალხს?!

**საქართველოსა** და კვიპროსის მატჩს, როგორც ეროვნული ნაკრების ყველა შეხვედრას, მოუთმენლად ველოდი.

სტადიონზე მეგობრებთან ერთად მივედი — სულ რვანი ვიყავით და საგანგებოდ შეძენილ თეთრ მაისურებზე საღებავით GEORGIA! გვეწერა.

მაისურებზე ასოებისა და ძახილის ნიშნის მაქსიმალურად ლამაზად დახატვას მე და ჩემმა მეგობრებმა საკმაო დრო მოვანდომეთ და ეროვნული ნაკრების საქომაგოდ გულმოდგინეთ ვემზადებოდით, მაგრამ...

ტრადიციულად მოუგვარებელ პრობლემას, სტადიონზე შეღწევას თავი რომ დავანებოთ, შესვლის შემდეგ, როგორც ძირითადად ხდება ხოლმე, ჩვენი ადგილები დაკავებული დაგვხდა. თანმიმდევრობით დაჯდომასა და GEORGIA!-ს გამოჩენას ვინღა ჩიოდა, რვა კაცი ფეხზე დავრჩით.

ცხადია, ჩვენს ადგილებზე მჯდომ ქომაგებთან საუბარმა შედეგი არ გამოიღო. ისინი რაღაც ბილეთებს გვაჩვენებდნენ და ადგომა არ სურდათ, ჩვენ კი ჩვენი ბილეთები ხელში შეგვრჩა და ვცდილობდით, გაგვერკვია მაინც, სად იყო ჩვენი „ნამდვილი“ ადგილი.

გაურკვევლობამ დიდხანს გასტანა, ამასობაში კი თამაშიც დაიწყო.

დახმარება ვისთვის უნდა გვეთხოვა, თუ არა პოლიციის ან სტადიონის პერსონალისთვის. თუმცა მათ განგვიცხადეს, მეორე იარუსზე რიგების ათვლა ყვითელი სკამების გამოტოვებით, ლურჯი სკამებიდან იწყებაო. ამ შემთხვევაში კი გამოდიოდა, რომ ლურჯ სკამებს რიგები შეცდომით ეწერა — მე-2 პირველს ნიშნავდა, მე-3 — მეორეს და ასე შემდეგ.

პოლიციას და სტადიონის პერსონალს ვთხოვეთ, თუ ასეა საქმე, სხვებსაც უნდა აუხსნათ და ჩვენი ადგილები გაგვითავისუფლოთო, მაგრამ პასუხი მოკლე იყო — „ეს ჩვენ არ გვეხება!“

მოგვიანებით ასეთი გამოსავალი შემოგვთავაზეს — რამდენიმე სექტორის მოშორებით მიგვითითეს, ცარიელი ადგილებია და იქით გადადით, ოღონდ ხალხს ხელს ნუ შეუშლით, ტრიბუნებიდან არ გადახვიდეთ, ჩადით და ქვემოდან ამოდითო.

დავუჯერეთ, მაგრამ იქ მისულები პოლიციამ აღარ შეგვიშვა, არ გვაინტერესებს თქვენი ამბავი და არც ის, ვინც გამოგიშვათ, ეს ბილეთები ამ სექტორისა არ არის და არ შეგიშვებთო.

რაც ვნახეთ, ჩვენნაირ გაურკვევლობაში კიდევ ბევრი ადამიანი იყო და მთელი ამ ქაოსის შემხედვარე, სიმართლე გითხრათ, სტადიონზე დარჩენის სურვილიც კი გამიქრა და ერთი პირობა ვიფიქრე კიდეც, წავალ და ტელევიზორში ვუყურებ-მეთქი.

საბოლოოდ, დარჩენა გადავწყვიტეთ. „ჩვენს“ სექტორში დავბრუნდით — მატჩი უკვე 15 წუთის დაწყებული იყო. რამდენიმე ცარიელ ყვითელ სკამზე ორ-ორნი დავსხედით, ზოგს ფეხზე დგომაც მოუწია.

მართალია, ნირწამხდრები ვიყავით, მაგრამ ნაკრებს მაინც გულიანად ვუქომაგეთ...

ბულგარეთთან მატჩზე ალბათ ორი-სამი საათით ადრე უნდა მივიდეთ და თუ შეგვიშვეს და ჩვენი ადგილების პოვნა შევძელით, იქნებ ნორმალურად დასხდომაც მოვახერხოთ, თორემ სტადიონის პერსონალის პასუხი უკვე კარგად ვიცით — ეს მათ არ ეხებათ.

ვითომ?

**გიორგი ქაქაბაძე**




საქართველოს პრეფერანსის ფედერაცია აწყობს ეროვნულ ჩემპიონატს, 18-19 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში.
რეგისტრაცია იწყება 16 ოქტომბრიდან.
საკონტაქტო ტელეფონი 899 11 14 19

# დავით უსტიაშვილი: ენერგია მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს




ზურაბ დოლიძევაშვილის ფოტო

**14 ოქტომბერს რუსთავის „ენერჯი-ინვესტ“ ფიბას ევროთასის გათამაშებაში ჩაებმება. ქართული გუნდი პირველ ეტაპზე უკრაინულ „სუმიხიმპრომს“ ეთამაშება. ამ გუნდების ორმატჩიანი სერიის პირველი დაპირისპირება თბილისში შედგება. მეორე კი 21 ოქტომბერს უკრაინაში გაიმართება.**

**რუსთაველმა გუნდმა, ლეგიონერებთან ერთად, დუდუ დადიანის მემორიალზე ითამაშა და სამი შეხვედრა ჩაატარა, ტურნირის მოგების შემდეგ კი კლუბი შეკრებაზე გადავიდა და მაქსიმალური დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს. გუშინ „ენერჯი-ინვესტის“ მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილს გავესაუბრეთ**

— შეკრებაზე გადავედით. გუნდი სასტუმრო „სიმპათიაშია“ დაბინავებული, ვარჯიშით კი სპორტის სასახლეში ვვარჯიშობთ. ეს სასტუმრო იმიტომაც ავირჩიეთ, რომ საბურთალოზეა და სასახლეში რამდენიმე წუთში მივდივართ ხოლმე.

**—როგორი განწყობაა გუნდში? თქვენ ხომ ორიოდე დღის წინ მოიგეთ დუდუ დადიანის მემორიალი...**

— განწყობა ძალიან კარგი და საბრძოლო გვაქვს. ყველა სრული სერიოზულობით ემზადება 14 ოქტომბრის შეხვედრისთვის. ცუდი ისაა, რომ მოსამზადებლად მეტი დრო არ გვაქვს. დუდუ დადიანის მემორიალის მოგებამ კიდევ უფრო მეტად დაგვმუხტა დადებითი ემოციით, რაც თითოეული კალათბურთელისთვის ძალიან სასარგებლოა.

**— გუნდი დღეში რამდენჯერ ვარჯიშობს?**

— ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს დაგეგმილი. ახლა დროის დაკარგვა აღარ შეიძლება, ისედაც რამდენიმე დღე გვაქვს, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**— ტრავმა ხომ არ აწუხებს რომელიმე კალათბურთელს?**

— საბედნიეროდ, ყველა ჯანმრთელადაა და ტრავმა არ აწუხებთ. ეს კარგია, რადგან საშუალება გვაქვს, ყველაფერზე ვიმუშავოთ.

**— მიღით, დადიანის მემორიალის მიხედვით შეაფასეთ ამერიკელი და სერბი ლეგიონერები...**

— იმით დავიწყებ, რომ ეს ბიჭები ვარჯიშის გარეშე, პირდაპირ გავიდნენ მოედანზე. სერბებთან ერთი ვარჯიშის ჩატარება მოვასწარით, მაკფერსონთან კი არც გვქონდა ნავარჯიშები.

ამის მიუხედავად, მგონი, სამივე ლეგიონერმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი აზრით, მათ გუნდი აშკარად გააძლიერეს. სამივეს აქვს ის თვისება, რომელიც ჩვენ გვჭირდება და ძალიან უნდა გამოგვადგეს.

**— პოლ მაკფერსონის თამაშში იგრძნობოდა, რომ მეტის გაკეთებაც შეეძლო, უბრალოდ, არ იხარჯებოდა.**

— მეტის გაკეთება სამივეს შეეძლო. მაკფერსონს რაც შეეხება, მან ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ აკლიმატიზაციის გავლა ვერ მოასწრო, აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ბოლომდე ვერ იხარჯება. დარწმუნებული ვარ, რომ თავის სრულ პოტენციალს ევროთასის შეხვედრაში გამოავლენს. სხვათა შორის, ამას თვითონაც ამბობს, „სუმიხიმპრომთან“ რაც შემეძლება ყველაფერს გავაკეთებო.

**— საინტერესოა, როგორი ურთიერთობა აქვთ სერბებსა და ამერიკელს ქართველ მოთამაშეებთან.**

— ლეგიონერებს აქ დახვდა ძალიან შეკრული კოლექტივი, რომელშიც თავანთი ადგილის პოვნა არ გასჭირვებიათ.

**— ამერიკელთან ერთთვიანი კონტრაქტი გაქვთ გაფორმებული. სერბების შემთხვევაში როგორაა საქმე?**

— ისევე, როგორც მაკფერსონთან, რადოიჩიჩთან და ვუკადინოვიჩთანაც ერთთვიანი კონტრაქტები გავაფორმეთ.

**— თუ განიხილავთ ამ ლეგიონერების დატოვების საკითხს?**

— ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ კონკრეტულად ამაზე საუბარი არ შემიძლია. ყველაფერს ევროთასის შეხვედრა გვიჩვენებს — ამ თამაშმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი.

**— თქვენ ერთი კვირის წინ იყავით სუმში, სადაც ჩვენი მომავალი მეტოქის თამაში ნახეთ, ასევე წამოიღეთ ვიდეოფირები, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ უკრაინელებზე?**

— საკმაოდ კარგი გუნდია. მე ვნახე მათი შეხვედრა უკრაინის ჩემპიონატის პირველ ტურში. შემიძლია გითხრათ, რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მატჩი მოიგეს. გუშინ უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში სუმელები გასვლაზე დამარცხდნენ „ხიმკისთან“.

**— როგორც ვიცით, „სუმიხიმპრომს“ ლეგიონერებიც ჰყავს.**

— დიახ, სამი ამერიკელი, ორი ლიტველი და ერთიც ნიგერიელი მოთამაშე. ეს გუნდი ივლისიდან ემზადება. დროის ამ მონაკვეთში, მათ არაერთი მოთამაშე გამოსცადეს და საბოლოოდ კარგ შემადგენლობას მოუყარეს თავი. შარშანდელთან შედარებით, მოთამაშეების დიდი ნაწილი შეცვალეს.

რაც მთავარია, მოსამზადებელ ეტაპზე ამ გუნდმა 15 ამხანაგური შეხვედრა გამართა, ჩვენ კი მხოლოდ სამი თამაში ჩავატარეთ დადიანის მეომრიალზე. ისინი ყველა დონის გუნდს ეთამაშებიან, ჩვენ კი „სუმიხიმპრომის“ დონის გუნდთან ჯერ არ გვითამაშია. ესეც დიდი პლუსია მეტოქისთვის.

**— რომ შევადაროთ „სუმიხიმპრომი“ და შარშანდელი ევროთასელი მეტოქე „ამსტერდამი“, უპირატესობას, რომელს მიანიჭებდით?**

— ჩემი აზრით, „ამსტერდამი“ მაინც უფრო წინ დგას, ვიდრე უკრაინული გუნდი.

**— თქვენი და სტუმრების დაპირისპირებაში შანსებს როგორ აფასებთ?**

— შანსებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მე მხოლოდ ერთის თქმა შემძლია — „ენერჯი-ინვესტი“ თბილისშიც და უკრაინაშიც მაქსიმალურად დაიხარჯება. ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად, დანარჩენს კი მოედანზე ვნახავთ. შანსები ჩვენც გვაქვს და მეტოქესაც, მე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

**გიორგი არაბული**




ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ზაზა ფაჩულიას ყურები აუწიეს

**ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მოთამაშე საქართველოს ნაკრების წევრებს ვლადიმერ ბოისას და ტაირონ ელისს გუშინ გვიან ღამით, მესამე ტურის თამაშები უნდა ჩაეტარებინათ.**

**თუმცა მანამდე ორივე ამ მოთამაშის გუნდმა მეორე ტურის შეხვედრები გამართა, რომლის შესახებაც აქ მოგახსენებთ, ხვალინდელ ნომერში კი გუშინდელ თამაშზეც გაცნობებთ.**

**პირველი შეეხება ზაზა ფაჩულიას, რომელმაც ნბა-ს საგამოფენო მატჩი გამოტოვა „პორტლენდ ტრეიბლეიზერსთან“. ეს შეხვედრა „ატლანტამ“ 80:102 წააგო. ჩვენს მოთამაშეს საპატიო მიზეზი ჰქონდა, ის მამა გახდა, ფაჩულიას ვაჟი შეეძინა.**

**მეორე არაესპანელი ლეგიონერი კი მანუჩარ მარკოიშვილია, რომელმაც უკრაინის ჩემპიონატში ითამაშა მეორე ტურის შეხვედრა**

## ესპანეთი

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა უკანახაზელმა ვერ მოახერხა „უნიკახასთან“ მატჩში თავის გამოჩენა. მან საკმაოდ სუსტად ითამაშა, ეს კარგად ჩანს მისი სტატისტიკიდანაც. საერთოდ ასეთი ცუდი მაჩვენებელი ამ ესპანურ გუნდში ელისს ძალიან იშვიათად აქვს ხოლმე. ამჯერად მან ათი ქულაც კი ვერ დააგროვა.

ეს წაგება „კახასოლისთვის“ ზედიზედ მეორე იყო მიმდინარე ჩემპიონატში.

**კახასოლი 60:91 უნიკახა**

*ტაირონ ელისი: 15 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშვნა, 1-დან 0 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი.*

ვლადიმერ ბოისას გუნდმაც, ორი წაგებით დაიწყო ესპანეთის ჩემპიონატი. თუ პირველ მატჩში, მათ ძალიან მცირე სხვაობით წააგეს, ამჯერად უკვე 12 ქულით დათმეს შეხვედრა.

პირველისგან განსხვავებით, ამჯერად ბოისამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან თანაგუნდელთა დიდმა ნაწილმა მხარი ვერ აუბა.

**ვივე მენორკა 62:74 ბილბაო**

*ვლადიმერ ბოისა: 22 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი, 4-დან 0 საჯარიმო.*

## უკრაინა

თავისი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც 17 ქულა დააგროვა და არც სხვა სათამაშო კომპონენტებში შეირცხვინა თავი. რაც მთავარია, დედაქალაქელმა „მგლებმა“ როგორც „კიევს“ მოიხსენიებენ, ჩემპიონატი ზედიზე ორი გამარჯვებით დაიწყო.

მარკოიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. თან უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ეს ახალგაზრდა კალათბურთელი სულ ახლახან შეუდგა ვარჯიშს ოპერაციის შემდეგ, რის გამოც სანაკრებო შეხვედრებიც კი გამტოვა.

**კიევი 104:68 ნიკოლაევი**

*მანუჩარ მარკოიშვილი: 30 წუთი, 17 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი, 2 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 1 ორქულიანი, 7-დან 5 სამქულიანი.*

**გიორგი არაბული**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვას და გორგოძის ფინალები


ეკა გორგოძე


ოქსანა კალაშნიკოვა

**მექსიკაში**, ქალაქ სან ლუის პოტოსში მიმდინარე ტურნირზე ქართველი ჩოგბურთელი ოქსანა კალაშნიკოვა ფინალში გავიდა და გადამწყვეტ მატჩში ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილ პორტუგალიელ ფრედერიკა პიედადეს ეთამაშება.

ნახევარფინალში კალაშნიკოვამ აშშ-ის წარმომადგენელ კოკო ვანდევეიგეს მოუგო სამ სეტში — 3:6 6:4 6:4.

შეგახსენებთ, რომ ძირითადი ბადე კალაშნიკოვამ არგენტინელი ვანესა ფურლანტენის ძლევით დაიწყო. შემდეგ ესპანელი არანჩა პარა-სანტოსი და არგენტინელი ვერონიკა შიგელი დაჯაბნა და ასე უწია ნახევარფინალს. მექსიკური ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათას აშშ დოლარია.

ბარსელონაში კი საჩოგბურთო ტურნირის ფინალში 16 წლის ეკატერინე გორგოძე გავიდა. მეოთხედფინალში მან ფრანგი სიდნი შალა დაამარცხა დაძაბულ მატჩში — 6:2 6:7 (3:7) 7:5.

ნახევარფინალში ქართველმა ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილ რუს იულია პარასიუკს გამოუყვანა წირვა — 5:7 7:6 (9:7) 6:1.

გორგოძის მოწინააღმდეგე ფინალში ფრანგი შოეფელი იქნება. ბარსელონაში მიმდინარე ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი აშშ დოლარია.

**ზურაბ მიგრიაული**

რაგბი

# ბათუ კევლიშვილი 60 წლისაა

ქართულ რაგბიში ძნელად თუ მოიძებნება ბათუ კევლიშვილის მაგვარი ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელიც ქართულ რაგბიში, პირველყოვლისა, რაგბისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცობისა და კეთილსინდისიერების სამსახურში დგას და წლების განმავლობაში ქართული რაგბის მომავალს ჭედდა.

ბათუ კევილშვილი მეორე თაობის ქართველი მორაგბეა. თამაში დაიწყო „ლოკომოტივში" გოგი ტონიას ზედამხედველობით. 1968 წლიდან თამაშობს „სპარტაკში", სადაც წლების განმავლობაში მოთამაშე-მწვრთნელია. ბატონი ბათუ მოედანზე, ისევე როგორც ცხოვრებაში საიმედოობისა და ვაჟკაცობის სიმბოლო გახლავთ.

1982 წელს საქართველოში პირველად ბათუ კევლიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ბავშვთა სარაგბო სკოლები (თბილისის განათლების სამმართველოს ინიციატივით). ბავშვთა გუნდებმა მალე მოიპოვეს პოპულარობა და წლების განმავლობაში ყველა ასაკობრივი ჯგუფის გუნდი მონაწილეობდა საკავშირო პირველობებზე, სადაც უმეტესად, პრიზიორთა რიგებში ხვდებოდნენ.

1982 წელსვე შეიქმნა სარაგბო კლუბი „ლელო" (თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვების სკოლა). თავიდან აქცენტი გაკეთდა ბავშვ და ჭაბუკ მორაგბეებზე. ამჟამად „ლელოს" ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჰყავს გუნდი. „ლელოს" ჭაბუკები „ა" და „ბ" ლიგებშიც (ჭაბუკთა ლიგები) წარმატებით მონაწილეობენ, ხოლო „ლელოს" კაცთა გუნდები ასპარეზობენ უმაღლესი და პირველი ლიგის ჩემპიონატებზე.

2005 წელს „ლელო" საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ბათუ კევლიშვილის სარაგბო სკოლა ქართული რაგბის მომავლის ნამდვილი სამჭედლოა. ბავშვთა და ჭაბუკთა ორასზე მეტი მორაგბე ეუფლება ოვალური სამყაროს საიდუმლოებებს და მისთვის დამახასიათებელ ცხოვრების რაინდულ წესს ითვისებს. ბათუ კევლიშვილის დამოძღვრილი მორაგბეები ეროვნული ნაკრების წევრთა თითქმის უმრავლესობას შეადგენდნენ: მერაბ ბესელია, გუჯა იოვაძე, ნონო ანდღულაძე, ვასილ აბაშიძე, გია ლაბაძე, მიხეილ სუჯაშვილი, გიორგი ბუგიანიშვილი, ილო მაისურაძე, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, მერაბ კვირიკაშვილი, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, ირაკლი ყიასაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ლაშა ფირფილაშვილი, ოთარ ბარკალაია.



საქართველოს რაგბის კავშირი და სრულიად სარაგბო თემი 60 წლის იუბილეს ულოცავს ბათუ კევლიშვილს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას

სარბიელელები 60 წლის იუბილეს ვულოცავთ ბათუ კევლიშვილს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას

ავტორბოლა



# 700 ლიტრი ლიდერებისთვის

**გუშინ** რალიში „რომპეტროლ 2008"-ის სეზონის დასკვნითი ეტაპი გაიმართა. მრბოლელები ერთმანეთს მამკოდა-ცხვარიჭამიის ჩქაროსნულ სპეცმონაკვეთზე გაეჯიბრნენ. რალში 11 ეკიპაჟი მონაწილეობდა.

ეტაპის გამარჯვებული აჩიკო ბიძინაშვილის და ნიკა შავიშვილის ეკიპაჟი გახდა. მეორე ადგილი გოგა არჯევანიძისა და ქეთი ბოჭოიძის ეკიპაჟმა დაიკავა. მესამეზე კი ბესო ბოჭორიშვილისა და ალეკო ფხაკაძის დუეტი გავიდა.

რალიში მონაწილე თერთმეტივე ეკიპაჟი საწვავით კომპანია „რომპეტროლმა" უზრუნველყო. ჩემპიონ-პრიზიორებს კი საჩუქრად 700 ლიტრი საწვავი გადაეცათ.

„საქართველოს ჩემპიონატი პირველიდან ბოლო ეტაპამდე დაძაბულ ბრძოლაში გაილია. ლიდერი რამდენიმეჯერ შეიცვალა და ამ მარათონში გამარჯვებული ბოლო რბოლამ გამოავლინა. ჯერ შედეგები საბოლოოდ არ არის დათვლილი, მაგრამ სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონი აჩიკო ბიძინაშვილისა და ნიკა შავიშვილის წყვილი გახდება" — გვითხრა დასკვნითი ეტაპის დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა შალვა ობგაიძემ.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭადრაკი

# იჯის თასის ოქროს მეფე-დედოფლები

**10 ოქტომბერს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში საჭადრაკო ფესტივალი „იჯის თასი ოქროს დედოფალი 2008" დასრულდა. ფესტივალზე ტურნირები სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეებს შორის ჩატარდა, როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს შორის. გამარჯვებულებს დიპლომებთან ერთად ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ. ასევე დასაჩუქრდნენ ჩემპიონ-პრიზიორთა მწვრთნელებიც.

**16-წლამდე ვაჟები**
1 ზურაბ ჯავახაძე
2 გიორგი ნიკოლაშვილი
3 ირაკლი ჯანიაშვილი

**16-წლამდე გოგონები**
1 ნათია ჯალაბაძე
2 ანა კუჭავა
3 ნატო იმნაძე

**12-წლამდე ვაჟები**
1 ირაკლი ბერაძე
2 გიგლა ბენიძე
3 ნიკოლოზ ქუმსიაშვილი

**12-წლამდე გოგონები**
1 დეა გოდიშვილი
2 თეკლა მაჭარაშვილი
3 ნატო იმნაძე

**10-წლამდე ვაჟები**
1 მამუკა ანთაძე
2 გიორგი სიბაშვილი
3 ნიკო ხომერიკი

**10-წლამდე გოგონები**
1 მარიამ მჟავია
2 მარიამ ცერცვაძე
3 ელენე საპანაძე

**8-წლამდე ვაჟები**
1 გურამ ჭელიძე
2 დავით კამკია
3 ლუკა ობოლაძე

**8-წლამდე გოგონები**
1 მარიამ დოლიძე
2 ნატა ჯიბუტი
3 ნინო ჯალაღონია

ჭიდაობა

# ქართული ოპერაციები კიევში

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ლიდერებს — რამაზ ნოზაძესა და ბადრი ხასაიას — მთელი წელი ტრავმების პრობლემა ჰქონდათ და ისე მოხდა, რომ პეკინის ოლიმპიადისთვისაც ვერ მოემზადნენ სათანადოდ. ბადრი ხასაიამ ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გერმანელ მოჭიდავესთან მხარი იტკინა და მერე ფინალი ველარც იჭიდავა. ასევე მხრის პრობლემა შეექმნა ნოზაძესაც იმავე ევროპირველობაზე და ორივეს დიდი დრო გაუცდა.

ოლიმპიადის შემდეგ ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს და საამისოდ კიევში გაემგზავრნენ. ლინკოს კლინიკაში ხასაიას ოპერაცია ერთ საათს გაგრძელდა, ხოლო ნოზაძისა ორ საათს და, რაც მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ერთი კვირის შემდეგ მოჭიდავეები საქართველოში დაბრუნდებიან. ნოზაძე ერთთვიან სარეაბილიტაციო კურსს გაივლის და მერე ისევ კიევს მიაშურებს მეორე მხარზე ოპერაციის გასაკეთებლად. ნოზაძემ ვარჯიში სავარაუდოდ იანვარში უნდა დაიწყოს.

**ლექსო მაისურაძე**

# ფერნანდო აზიელი
## ფავორიტების ფუჭი ლაპარაკი


ფერნანდო ალონსო

ფრთხილად უნდა ვიყოო, შარშანდელი სეზონის ფინიში, როდესაც თითქმის მოპოვებული ჩემპიონობა ხელიდან გამიფრინდა, მწარედ მახსოვს და ამიტომაც რისკზე წასვლას აღარ ვაპირებ, ფრთხილად ვივლი, რათა ქულათა საჭირო რაოდენობა მოვიპოვოო — აი, ასე ლაპარაკობდა „მაკლარენ-მერსედესის“ შავკანიანი ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი იაპონიის დიდი პრიზის წინ, მაგრამ დანაპირები, თუ გეგმა, როგორც გინდათ ისე უწოდეთ, ვერ აასრულა, ცხელმა სისხლმა თავისი ქნა.

არადა, ჰემილტონმა ბრწყინვალე სტილში მოიგო კვალიფიკაცია და პოულის მფლობელს მანევრირების საშუალებაც ჰქონდა, მაგრამ სტარტზე მოულოდნელად შეყოვნდა და წინ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი გაატარა. არც ეს იყო დიდი უბედურება — წასულიყო კიმი წინ და მიჰყოლოდა უკან, მით უმეტეს, რომ მთავარი კონკურენტი, რაიკონენის ბრაზილიელი თანაგუნდელი ფელიპე მასა უკან, მეხუთე პოზიციაზე იმყოფებოდა.

ჰემილტონმა სიფრთხილე პირველად, სწორედ ამ ეპიზოდში დაკარგა, ეგრევე მოინდომა პირველობის დაბრუნება და მოსახვევში ისე დაამუხრუჭა, რაიკონენი კი გასწია გვერდზე, მაგრამ თავადაც გავარდა ტრასიდან და ზუსტად მასას უკან აღმოჩნდა.

ამან კიდევ უფრო გაალიზიანა ინგლისელი და ცოტა ხანში, უკვე ბრაზილიელის გადასწრება მოინდომა. ბრწყინვალე მანევრით გაასწრო კიდეც უმთავრეს მეტოქეს, მაგრამ მასამ მოსახვევი მოჭრა და ჰემილტონის ბოლიდს „ფერარის“ ცხვირი გაჰკრა.

ლუისის მანქანა დატრიალდა, თუმც ბედად არ გაჩერდა და ინგლისელმა, ყოველი შემთხვევისთვის, ბოლიდის შესამოწმებლად ბოქსებისკენ გასწია.

ჰემილტონი ბოლოში აღმოჩნდა და ცოტა ხანში ის, სტარტზე ჩატარებული რისკიანი მანევრისთვის პიტ-ლაინზე დამატებითი შესვლითაც დასაჯეს. თთქოს ყველაფერი დაკარგული იყო, მაგრამ ბედმა ინგლისელი ბოლომდე არ გაწირა — თავის მხრივ, მასაც დასაჯეს პიტ-ლაინზე შესვლით მოსახვევის მოჭრისა და ჰემილტონთან ავარიის გამო და ფავორიტები პელოტონის კუდში აღმოჩნდნენ.

„მაკლარენი“ სიფრთხილესა და ქულებს გეგმავდა. და საერთოდ უქულოდ დარჩა, რადგანაც ცოტა ხანში ჰეიკი კოვალაინენის ბოლიდის „მერსედესის“ ძრავამ ბოლი გაუშვა და ჰემილტონი კი აშკარად აღარ იყო ქულათა ზონაში მოხვედრისთვის მებრძოლი, ხოლო „ფერარი“ დუბლს გეგმავდა, თანაც მასას გამარჯვებით, მაგრამ ბრაზილიელი საბოლოო ჯამში ერთი კინკილა ქულით დაკმაყოფილდა, რაიკონენი და პოდიუმზე კი შედგა, მაგრამ ყველაზე დაბალ, მესამე საფეხურზე.

ჰემილტონი და მასა იაპონიის დიდი პრიზის ანტიგმირები აღმოჩნდნენ, გმირი კი, ისევე როგორც ორი კვირის წინ სინგაპურში, ამჯერადაც ფერნანდო ალონსო იყო.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კვალიფიკაციაში მეორე შედეგი აჩვენა და მეექვსე სასტარტო პოზიციაზე მყოფ რობერტ კუბიცასთან ერთად, ყველაზე უკეთ ისარგებლა რბოლის დაწყებისას შექმნილი არეულობით.

კუბიცა წინ გაიჭრა, ალონსო მეორე იყო და ასე გაგრძელდა პირველ პიტ-სტოპამდე, საიდანაც ესპანელი ლიდერად დაუბრუნდა რბოლას და ამის შემდეგ ისე იდეალურად იქროლა, მის პირველობაში ეჭვი არავის შეპარვია.

თითქმის მთელი სეზონი წვალობდა ალონსო, სულ იმას ამბობდა, „რენო“ პროგრესის გზას ადგას და ვნახოთ, ბოლოსკენ როგორ იქნებაო და აჰა, სეზონის ფინალი მოახლოვდა და ესპანელი ზედიზედ ორჯერ შედგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე.

ჯერ სინგაპური და ახლა იაპონია. ალონსომ მიჯრით ორი აზიური ეტაპი მოიგო, კარიერაში მოგებული დიდი პრიზების ოდენობა ოცამდე აიყვანა და წინ კი ჩინეთია, სადაც იღბლიან გზაზე დამდგარი ესპანელი ზედიზედ მესამე გამარჯვების მოპოვებას შეეცდება.

კუბიცა მეორე იყო, რაიკონენი კი მესამე და ამის წყალობით „ფერარიმ“ გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაიბრუნა, 6 ქულით გადაასწრო „მაკლარენს“. [illegible] ლიანი [illegible] ჰემილტონი კვლავაც კომფორტულად ლიდერობს, არადა, მასას რომ ცოტა მეტი ყურადღება გამოეჩინა, შეიძლებოდა, სულ სხვანაირი სურათი გვქონოდა.

**ქახა ლომაძე**




## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთექვსმეტე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**იაპონიის დიდი პრიზი**
**12 ოქტომბერი. ფუჯი**
დისტანცია 67 წრე — 305,721 კმ

| | |
|---|---|
| 1(4). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“) | 1 სთ 30 წთ 21,892 წმ (საშ. სიჩქარე 201,504 კმ/სთ) |
| 2(6). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | +5,2 წმ |
| 3(2). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“) | +6,4 |
| 4(12). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო“) | +20,5 |
| 5(7). იარნო ტრული (იტალია, „ტოიტოა“) | +23,7 |
| 6(10). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“) | +34,0 |
| 7(9). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“) | +39,2 |
| 8(5). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“) | +46,1 |
| 9(13). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“) | +50,8 |
| 10(16). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანი, „BMW-ზაუბერი“) | +54,1 |
| 11(15). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა“) | +1.02,0 |
| 12(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | +1.18,9 |
| 13(17). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა“) | +1 წრე |
| 14(18). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა“) | +1 |
| 15(14). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“) | +1 |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 16(20). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“) გაიარა 21 წრე | |
| 17(3). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | 16 |
| 18(19). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“) | 8 |
| 19(8). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“) | 6 |
| 20(11). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“) | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| ჰემილტონი | 1წთ 18,404 წმ (საშ. სიჩქარე 209,515 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| მასა | 1 წთ 18,426 წმ (საშ. სიჩქარე 209,456 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ვალენსია 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | 10 | 10 | 4 | 8 | 6 | 2 | 6 | — | | | 84 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | — | 6 | — | 10 | 10 | 3 | — | 1 | | | 78 |
| 3 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | — | 2 | 1 | 6 | 3 | 6 | — | 8 | | | 72 |
| 4 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | 5 | 3 | 6 | — | — | — | — | 6 | | | 63 |
| 5 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | 8 | 5 | — | — | 8 | 4 | 3 | — | | | 56 |
| 6 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | — | 8 | — | — | | | 51 |
| 7 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | 3 | — | 5 | — | 5 | 5 | 10 | 10 | | | 48 |
| 8 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | 2 | — | 2 | 4 | — | — | — | 4 | | | 30 |
| 9 ფეტელი | — | — | — | — | — | 4 | 1 | — | — | 1 | — | 3 | 4 | 10 | 4 | 2 | | | 29 |
| 10 გლოკი | — | — | — | — | — | — | 5 | — | — | — | 8 | 2 | — | — | 5 | — | | | 20 |
| *ვებერი — 20, პიკე — 18, როსბერგი — 17, ბარიკელო — 11, ნაკაჯიმა — 9, კულტჰარდი — 8, ბურდე — 7, ბატონი — 3 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | 5 | 9 | 6 | 10 | 10 | 3 | — | 7 | | | 141 |
| 2 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | 14 | 14 | 14 | 13 | 6 | 10 | 6 | — | | | 135 |
| 3 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 11 | 10 | 3 | 8 | | | 128 |
| 4 რენო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 3 | 3 | 8 | 8 | — | 5 | 5 | 10 | 15 | | | 66 |
| 5 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | 2 | — | 10 | 6 | — | — | 5 | 4 | | | 50 |
| *ტორო როსო — 36, რედ ბული — 28, უილიამსი — 26, ჰონდა — 14 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# კალათბურთი ქარში

## სუპერმენმა რუსული არმია შემუსრა



შაკილ ონილს საჩოგბურთო კორტზე კალათბურთის თამაში მოეწონა

**ერიუნული** საკალათბურთო ასოციაციაში რეგულარული ჩემპიონატი 28 ოქტომბერს იწყება, მანამდე კი გუნდები ეგრეთ წოდებულ საგამოფენო მატჩებში ცდიან ერთმანეთსა და საკუთარ თავს.

ამ შაბათს რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია „დენვერ ნაგიტსისა" და „ფინიქს სანზის" ღია ცის ქვეშ შეხვედრა. ბოლო 30 წელიწადში პირველი არასადარბაზო თამაშისთვის ნბა-ს გუნდებმა კალიფორნიის უცნობილესი, ინდიან უელსის საჩოგბურთო კორტები შეარჩიეს. ქროდა ქარი და კალათბურთელებს ლამის ხელიდან სტაცებდა ბურთს, რის გამოც ვარსკვლავებმა დიდი სანახაობა ვერ დადგეს, არადა, „ფინიქსი" თითქმის სრული შემადგენლობით ირჯებოდა (ნეში, შაკი, ჰილი, დიაუ...) „დენვერს" კი ორი ლიდერის, აივერსონისა და ენტონის გარდა ყველა ჰყავდა მოედანზე. ძლიერი გვერდით ჰაერის ნაკადები შესამჩნევად უცვლიდა ბურთს მიმართულებას, რის გამოც განსაკუთრებით შორიდან ნატყორცნი ბურთები მიფრინავდნენ არსაით. ორივე გუნდმა 27-დან მხოლოდ სამი სამიანი ჩააგდო. ნამატჩევს ნბა-ს ბოლო წლების უძლიერესი გამთამაშებელი ნეში ჩიოდა ქარი დრიბლინგის საშუალებას არ გვაძლევდა და სროლის დროსაც ბურთი ჰაერში, ჩვენს თვალწინ იცვლიდა მიმართულებას, მაგრამ მაინც კარგი ვქენით, „სუფთა ჰაერზე" რომ გამოვედითო. საბოლოოდ „დენვერმა" 77:72 მოიგო...

„ორლანდო მეჯიქმა" შინაურ არენაზე მიიღო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, რუსეთის სიამაყე ცსკა და 94:66 გაანადგურა. „რუსულ არმიას" პირდაპირ შავი დღე აყარა მასპინძელთა 211-სანტიმეტრიანმა ცენტრმა, „სუპერმენად" წოდებულმა დუაიტ ჰოვარდმა, რომელმაც მთელ მაგათ სანაქებო ცსკა-ს პრაქტიკულად მარტომ მოუგო. პირველ მეოთხედში „სუპერმენმა" ზედიზედ 11 ქულა გააკეთა და „ორლანდო" 20:2 გაიქცია, მეოთხედი კი ნბა-ელებმა 37:19 იძალეს და აქედან 16 ქულა ჰოვარდის ანგარიშზე დაჯდა. სადღეისოდ ნბა-ს საუკეთესო ცენტრს მერე თავი დიდად აღარ გამოუდვია, 28 წუთში 28 ქულა (12 სროლიდან 10 ჩააგდო თამაშიდან), 10 მოხსნა და 5 ჩაჭრა შეაჯამა. ნამატჩევს „ორლანდოს" მწვრთნელი სტენ ვან განდი ხალისობდა — არა მგონია, ეგენი ევროპაში მსგავს ცენტრს გადაეყარონო.

„სუპერმენს" ძლეულმა მეტოქემაც ქება შეასხა, კერძოდ, ჯეელობაში ამერიკაში ნაბურთავებმა საშა კაუნმა თქვა, ხუთი წლის წინ მაგასთან ერთად სკოლების ოლ სტარში ვითამაშე და მას მერე ცას შეეზარდა, მაგის დაჭერა პრაქტიკულად შეუძლებელიაო.

„რუსთა" შორის კი გამოირჩნენ მერილენდის უნივერსიტეტის ყოფილი ვარსკვლავი ტერენს მორისი (16 ქულა) და NCAA-ს კიდევ ერთი აღზრდილი, დიუკის უნივერსიტეტის კურსადმთავრებული ტრაიან ლანგდონი (12 ქულა).

შაბათსავე ერთმანეთს ლონდონში შეეთამაშნენ „ნიუ ჯერსი ნეთსი" და „მაიამი ჰითი", რომლებმაც რამდენიმე დღის წინ პარიზული აუდიტორიაც მოიხილეს. საჩვენებელი პროფილის მიუხედავად ლონდონური მატჩი საკმად დაძაბული გამოვიდა. „ნეთსი" ბოლო მეოთხედში 10 ქულას იგებდა, მაგრამ „ჰითმა" ჩამორჩენა დაფარა და დაქუან კუკის ზუსტი ორიანით ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში, თუმც მაიამელებმა იქ 10 სროლიდან 7 გააცუდეს და „ნიუ ჯერსიმ" 100:98 იძალა.

ლონდონურ შეხვედრას ესწრებოდა ნბა-ს პატრიარქი დევიდ შტერნი და ევროპაში მისმა ჩასვლამ ბევრი კითხვა გააჩინა. შტერნს პირდაპირ სული ამოხადეს ადგილობრივმა ჟურნალისტებმა — როდის უნდა დაამატოთ ნბა-ს ევროპული დივიზიონი, როდის ჩაატარებთ ლონდონში ოლ სტარსო და მისთანები... მაგრამ ნბა-ს გამრიგემ ინგლისელებს ჯერ ყველაფერზე წყალი გადაუწურა, ეგ ყოველივე ძალიან მაცდუნებელია და საამოდ ჟღერს, მაგრამ ჯერაც პროექტირების დონეზეა და კაციშვილმა არ უწყის, როდის გაცდება მოლაპარაკების მაგიდასო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მონტას სამი მილიონი ჩამოაჭრეს



**„გოლდენ სტეიტ უორიორზმა"** სამი მილიონი დოლარით დააჯარიმა საკუთარი მოთამაშე მონტა ელისი, რომელიც ახლა დამტვრეულია, კოჭზე ოპერაციას იკეთებს და სულ ცოტა, ახალ წლამდე ვერ შეძლებს თამაშს. საქმე ისაა, რომ ელისი საკალათბურთო მოედნიდან კარგა შორს, მოპედით სეირნობისას მოყვა მცირე ავარიაში და იქ იტკინა ფეხი, მაგრამ გუნდს ეს ამბავი დაუმალა და „უორიორზის" პრეზიდენტი რობერტ პაუელი ამისთვის სჯის.

ამ სეზონთაშორის პერიოდში 22 წლის ელისმა ძველ გუნდთან ახალი, ექვსწლიანი სუპერკონტრაქტი დადო, რომლის თანახმადაც ყოველ წელს 11 მილიონი ერგება. ალბათ იმსახურებდა კიდეც ასეთ ხელფასს, გუნდის მეორე ბომბარდირი იყო, გასულ სეზონში საშუალოდ 20,5 ქულას იხვეჭდა და ამ მხრივ მხოლოდ ბაირონ დევისს ჩამორჩებოდა. თანაც დევისი წავიდა და ელისი პოტენციურ ლიდერად მოიაზრებოდა. მაგრამ კალათბურთელი ჯერ თავს არ გაუფრთხილდა, მერე კი გუნდი მოატყუა და აგერ ჩამოაჭრიან კიდეც მის პირველ წლიურ ხელფასს 3 მილიონს.

მონტა-ბიჭი თხოვნით მისულა მწვრთნელ დონ ნელსონთან — იქნებ მიშველო და შეფს სასჯელი შეაკვეცინო მაინცო. ნელსონმა კი მიუგო: „აბა, მე რა უნდა გიშველო, შვილო, ეს ჩემი ტერიტორია არ არის. თანაც ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, დანჯღრეულ მოპედს სატვირთოზე რომ დებდი."



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 10 ოქტომბერი

**კაროლინა 6:4 ფლორიდა**
**2:2 2:1 2:1**
0:1 ბუტი (5), 0:2 სტილმანი (7), 1:2 რუუტუ (11), 2:2 უიტნი (18), 3:2 ბრინდამორი (27), 3:3 დვორჟაკი (34), 4:3 პიტკანენი (35), 5:3 ლაკუტიური (44), 5:4 ჰორტონი (52), 6:4 კალენი (60)

**ნიუ ჯერსი 2:1 აილენდერსი**
**1:1 1:0 0:0**
0:1 უაიტი (10), 1:1 პარიზე (13), 2:1 ელიაში (21)

**რეინჯერსი 4:2 ჩიკაგო**
**1:1 2:0 1:1**
1:0 რადენი (7), 1:1 კეინი (18), 2:1 ვოროში (26), 3:1 დუბინსკი (36), 3:2 კეიტი (48), 4:2 ჟერდევი (50)

**ატლანტა 7:4 ვაშინგტონი**
**3:1 1:1 3:0**
1:0 ჰაინსი (9), 2:0 რიზონერი (12), 3:0 ლიტლი (14), 3:1 სიომინი (16), 3:2 სტეკელი (30), 4:2 ვიაჩ. კოზლოვი (30), 4:3 გრინი 34), 4:4 გრინი (35), 5:4 ლიტლი (54), 6:4 არმსტრონგი (55), 7:4 უაიტი (57)

**ბუფალო 2:1 მონრეალი**
**1:1 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)**
0:1 ლანგი (3), 1:1 ვანეკი (8)

**დალასი 4:5 კოლუმბუსი**
**0:1 2:0 2:3 0:1 (ოვერტაიმში)**
0:1 ვორაჩეკი (16), 1:1 მოროუ (26), 2:1 ნილი (29), 2:2 ჰუსელიუსი (43), 2:3 მიურეი (47), 2:4 ბრაშარი (48), 3:4 რიჩარდსი (57), 4:4 დეილი (58), 4:5 ნეში (65)

**სენტ ლუისი 5:2 ნეშვილი**
**2:1 3:1 0:0**
0:1 სუტერი (3), 1:1 ტკაჩუკი (13), 2:1 ჯეკმენი (14), 3:1 ბოისი (24), 3:2 უორდი (28), 4:2 ტკაჩუკი (33), 5:2 ბეკსი (37)

### 11 ოქტომბერი

**ტორონტო 1:6 მონრეალი**
**0:2 1:4 0:0**
0:1 ჰამრლიკი (11), 0:2 კოვალიოვი (13), 0:3 ს. კოსტიცინი (33), 0:4 ტანგეი (25), 0:5 ს. კოსტიცინი (29). 1:5 ბლეიკი (32), 1:6 ლატანდრესი (32)

**ოტავა 2:3 დეტროიტი**
**1:1 1:0 0:2**
1:0 პიკარი (7), 1:1 ფილპულა (12), 2:1 ფოლინო (39), 2:2 ფრენცენი (52), 2:3 ფრენცენი (59)

**აილენდერსი 5:2 სენტ ლუისი**
**4:1 0:0 1:1**
1:0 კომრი (3), 2:0 ჰანტერი (14), 3:0 ბერგენჰეიმი (16), 3:1 ბოისი (18), 4:1 ჯილბერტი (20), 4:2 ტკაჩუკი (48), 5:2 გერინი (60)

**ფილადელფია 3:4 რეინჯერსი**
**0:4 2:0 1:0**
0:1 ჟერდევი (5), 0:2 ბეტსი (6), 0:3 შოსტრომი (9), 0:4 როჟივალი (17), 1:4 ჰარტნელი (24), 2:4 განიე (37), 3:4 რიჩარდსი (46)

**ვაშინგტონი 4:2 ჩიკაგო**
**1:2 1:0 2:0**
0:1 ვერსტიგი (1), 0:2 სკილე (12), 1:2 ბრედლი (14), 2:2 ოვეჩკინი (26), 3:2 ლაიკი (56), 4:2 ოვეჩკინი (59)

**ფლორიდა 3:2 ატლანტა**
**1:1 1:1 0:0 1:0 (ოვერტაიმში)**
0:1 ვიაჩ. კოზლოვი (10), 1:1 ბუტი (12), 2:1 ვეისი (21), 2:2 უილიამსი (37), 3:2 ბუტი (64)

**პიტსბურგი 1:2 ნიუ ჯერსი**
**1:0 0:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)**
1:0 შატანი (12), 1:1 ელიაში (58), 1:2 პარიზე (65)

**ტამპა 3:4 კაროლინა**
**2:0 1:1 0:2 0:1 (ოვერტაიმში)**
1:0 რეკი (9). 2:0 ნისკალა (11), 3:0 ლეკავალიე (30), 3:1 ბრინდამორი (40), 3:2 კალენი (42), 3:3 სტაალი (50), 3:4 სტაალი (45)

**ნეშვილი 3:1 დალასი**
**2:1 0:0 1:0**
1:0 ვებერი (1), 1:1 დეილი (3), 2:1 არნოტი (11), 3:1 არნოტი (57)

**მინესოტა 4:3 ბოსტონი**
**1:1 3:0 0:2**
0:1 კესელი (9), 1:1 ბელანჟე (19), 2:1 ბურჟერონი (25), 3:1 მიეტინენი (31), 4:1 ბელანჟე (33), 4:2 სავარი (52), 4:3 სავარი (59)

**სან ხოსე 3:1 ლოს ანჯელესი**
**0:1 1:0 2:0**
0:1 ფროლოვი (7), 1:1 სეტოგუჩი (22), 2:1 პლიხალი (38), 3:1 პაველსკი (42)

**ფინიქსი 3:1 კოლუმბუსი**
**2:0 1:1 0:0**
1:0 იოკინენი (7), 2:0 მიულერი (19), 2:1 ბრაშარი (25), 3:1 იენდლი (27)

**კალგარი 4:5 ვანკუვერი**
**3:1 1:2 0:1 0:1 (ოვერტაიმში)**
0:1 დ. სედინი (3), 1:1 რუა (3), 2:1 ბერტუცი (10), 3:1 ბურკი (11), 3:2 რაიპენი (30), 3:3 კესლერი (31), 4:3 კამალიერი (35), 4:4 დ. სედინი (47), 4:5 დემიტრა (64)



პავოლ დემიტრას გოლმა „ვანკუვერს" „კალგარისთან" მოაგებინა

# იანკოვიჩის მარშრუტი: პეკინი-შტუტგარტი-მოსკოვი

**კაცები**
ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 674 000 ევრო

**ნახევარფინალი**
ფილიპ პეშნერი (გერმანია) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 3:6 6:3 6:3; გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:4 5:7 7:6

**ფინალი**
პეშნერი — მონფილზი 6:4 6:4

რეიტინგში 125-ე ადგილზე მყოფი ჩოგბურთელისთვის ნებისმიერი ტურნირის მოგება კარგია. მით უმეტეს თუ ეს ტურნირი არა რომელიმე ჩელენჯერი, არამედ ATP-ის დონის შეჯიბრია, თან საკმაოდ წარმომადგენლობითი. ჰოდა, არავის გაკვირვებია, როცა გუშინდელ პრესკონფერენციაზე გერმანელი ფილიპ პეშნერი სიხარულისგან ლამის ტიროდა:

„ეს უდავოდ საუკეთესო კვირა იყო ჩემი კარიერის განმავლობაში. აქ დიდი არაფრის იმედით მოვდიოდი, მაგრამ ყველაფერი სასწაულად აეწყო და აგერ ახლა ჩემპიონის რანგში გესაუბრებით“.

პეშნერი კვალიფიკაციიდან მოხვედრილი მესამე ჩოგბურთელია, ვინც წლეულს ტურნირის მოგებას ახერხებს. თავისივე აღიარებით, გერმანელი ავსტრიაში დროის გასატარებლად უფრო ჩავიდა და კვალიფიკაციის პირველ შეხვედრაზე კინაღამ დააგვიანდა. მაგრამ რომ დაიწყო, მიყოლებით მიაწვინა დიდი თუ პატარა — მათ შორის პირველ წრეში მოუგო ტურნირის პირველ ნომერ სტანისლას ვავრინკას. პეშნერისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო ტოპ-ათეულის წარმომადგენელზე.

გერმანელმა ამის შემდეგ თანდათან მოუმატა და აღარავინ დაინდო, ფინალში კი თავისზე კლასით გაცილებით მაღალი დონის ჩოგბურთელი დაახოქა — პეშნერმა გაელ მონფილზს შანსიც არ მისცა და ორ სეტში დაჯაბნა.

მონფილზმა კი ვერაფრით ისწავლა ფინალებში თამაში — ფრანგი უკვე მეხუთედ თამაშობდა სატიტულო მატჩში, რომელთაგან მხოლოდ ერთხელ, 2005 წელს პოლონურ სოპოტში, შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა.

თქმაც არ უნდა იმას, რომ ეს პირველი ტიტული იყო პეშნერისთვის.

**კაცები**
სტოქჰოლმი. შვედეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 713 000 ევრო

**ნახევარფინალი**
დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:2 6:1; რობინ სოდერლინგი (4, შვედეთი) — კეი ნიშიკორი (იაპონია) 6:1 6:0

**ფინალი**
ნალბანდიანი — სოდერლინგი 6:2 5:7 6:3

დავიდ ნალბანდიანისთვის ახლა ცეცხლის ფასი აღევს ნებისმიერ მოგებას — არგენტინელი წლის შემაჯამაბელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის. აქამდე გამსვლელ ბოლო, მერვე ადგილზე მყოფ ჯეიმს ბლეიკს ის 114 ქულით ჩამორჩებოდა. თუმც სტოქჰოლმში გამარჯვებით მან 40 სარეიტინგო ქულა მოიპოვა და მდგომარეობა გაიუმჯობესა.

გამარჯვებაზე დაგეშილი ნალბანდიანი არც იმას შეუშინდა, რომ ფინალში ტრიბუნების ფავორიტ რობინ სოდერლინგის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. არადა, არანაკლები მოტივაცია ამოძრავებდა შვედსაც, რომელმაც კარიერაში მეორედ უწია მშობლიური ტურნირის გადამწყვეტ მატჩს — 2005-ში იგი მარდი ფიშმა შეაჩერა და რობინსაც მაშინ დაკარგულის ანაზღაურება ეწადა.

ყველაფერ ამის გამო ფინალი ძალიან ლამაზი და საინტერესო გამოვიდა. არგენტინელმა უკეთ დაიწყო და პირველი სეტი დამაჯერებლადაც მოიგო. თუმც სოდერლინგი რისი ვიკინგი იქნებოდა, რომ ფარ-ხმალი ნაადრევად დაეყარა — შვედმა მეორე სეტში სასტიკი ბრძოლა გაუმართა გამოცდილ მეტოქეს და პარტიის ბოლო გეიმში გაკეთებული ბრეიკით ანგარიშიც გაათანაბრა.

თუმც კლასმა მაინც თავისი გაიტანა — გადამწყვეტ სეტში ნალბანდიანმა შეძლო მეტოქისა და ტრიბუნების წინააღმდეგობის დაძლევა და თავისი მე-9 საკარიერო ტიტულიც გაინაღდა. ასე რომ დავიდი ისევ ინარჩუნებს შანხაიში წასვლის შანსებს. მართალია, ის ისევ საკმაოდ შორს არის მერვე ადგილისგან, მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მას სეზონის მიწურულის მაღალ დონეზე ჩატარება ნამდვილად ხელეწიფება ამისთვის შარშანდელი სეზონის გახსენებაც კმარა, როცა მან ზედიზედ მოიგო მადრიდისა და პარიზის მასტერსები), ამ არგენტინელის ჩამოწერა ჯერ არ შეიძლება.

**კაცები**
მოსკოვი. რუსეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 049 000 დოლარი

**ნახევარფინალი**
მარატ საფინი (7, რუსეთი) — მიშა ზვერევი (გერმანია) უარი; იგორ კუნიცინი (რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:3

**ფინალი**
კუნიცინი — საფინი 7:6 6:7 6:3

კრემლის თასის 19 წლიანი ისტორიაში ეს უკვე მეცამეტედ შედგა სრულიად რუსული ფინალი. თუმც სატიტულო მატჩში ცოტა თუ ელოდა სწორედ ამ რუსებს — ძალიან არასტაბილურ მარატ საფინსა და ახალბედა იგორ კუნიცინს.

ასეა თუ ისე, ფინალში სწორედ ეს ორი დაეტაკა ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ საფინს აქამდე სამჯერ დაემარცხებინა თავისი ახალგაზრდა მეტოქე, ამჯერად გამარჯვება კუნიცინს დარჩა.

ვლადივოსტოკელისთვის ეს პირველი ტიტული გახლავთ. კუნიცინი უკვე მეათე ჩოგბურთელია, ვინც წლეულს თავისი პირველი ტურნირის მოგება შეძლო.

**ქალები**
მოსკოვი. რუსეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 დოლარი

**ნახევარფინალი**
ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) — ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) 0:6 6:1 6:0; ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) — დინარა საფინა (2, რუსეთი) 6:2 7:6

**ფინალი**
იანკოვიჩი — ზვონარიოვა 6:2 6:4

ელენა იანკოვიჩმა კარგა ხანია სტაბილური მეჩოგნის სტატუსი დაიმკვიდრა. წლეულსაც ჩვეულ დონეზე თამაშობს — აშშ-ს ღია პირველობამდე ყველგან მინიმუმ მეოთხედფინალში გავიდა. ერთი ეგ იყო, რომ სერბი ტიტულებს ვერ იხვეჭდა იმ სტაბილურობით, რაც მართლაც ექსტრა-კლასის მეჩოგნეს ეკადრება.

მაგრამ რაც „ფლეშინგ მედოუზზე“ თავის პირველ საკარიერო სლემფინალში ითამაშა, ელენამ საერთოდ აიწყვიტა — ბალკანელი ზედიზედ მესამე კვირაა ტიტულს იგებს. პეკინსა და შტუტგარტში მოგებას იანკოვიჩმა მოსკოვში ჩემპიონობაც მიამატა და ამით ერთი კვირის წინ დაბრუნებული მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი კიდევ უფრო გაიმყარა.

იანკოვიჩი რომ არა, კაცების დარად ქალების კრემლის თასიც რუსების საჯიჯგნად დარჩებოდა. მაგრამ სერბმა არავინ დაინდო და ზედიზედ მესამე ტიტული მოიპოვა. ასეთი რამ ქალთა ჩოგბურთში ბოლოს სამი წლის წინ ნიკოლ ვაიდიშოვამ მოახერხა. მაგრამ მაშინ თინეიჯერმა ჩეხმა მეორე და მესამე კალიბრის ტურნირები მოიგო, იანკოვიჩმა კი სამივეჯერ ბობოლებს შორის იხეირა. აგერ მოსკოვშიც ბლომად პრობლემები შეხვდა, მაგრამ ყველას წარმატებით გაართვა თავი — თუმც ფინალში არ გასჭირვებია და ვერა ზვონარიოვა ძალიან დამაჯერებლად მიჩოგნა.

**ბახა ლომაშვილი**


ელენა იანკოვიჩი





ვიტალი კლიჩკოს პირველმა ძმამ, ვლადიმირმა მიულოცა

# მძიმე წონა კლიჩკოებისაა

**როგორც** იქნა დასრულდა ვიტალი კლიჩკოს პროფესიულ რინგზე დაბრუნების გარშემო ატეხილი აურზაური. უკვე წელიწადზე მეტია, რაც ეს დომხალი გრძელდება და მას ბოლო მხოლოდ ამ უქმეებზე მოეღო, როცა უკრაინელმა ბერლინში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ნიგერიელი სამუელ პიტერი და WBC-ს საჩემპიონო ქამარი დაიბრუნა.

სანამ უშუალოდ ბრძოლის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ერთიორი სიტყვით გადავხედოთ კლიჩკოს წარსულს — უკრაინელისთვის ეს პირველი ბრძოლა იყო ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, ანუ რაც 2004-ში ლას ვეგასში ტიტული დაიცვა დენი უილიამსთან ჯახში. ამის შემდეგ ვიტალის ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლა უნდა გაემართა ჰასიმ რაჰმანთან, მაგრამ მუხლი დაიზიანა და რინგზე გასვლაზე უარი თქვა. ხოლო რადგანაც ტრავმა მალე ვერ მოიშუშა, უკრაინელმა საერთოდ გაცლა ამჯობინა.

თუმც შარშან სექტემბერში კლიჩკოს, ეტყობა, მოენატრა ფიცარნაგზე ტრიალი და დაბრუნებაზე დაიწყო საუბარი. სწორედ ამის შემდეგ ატყდა ის აურზაური, რომელზეც დასაწყისში მოგახსენეთ — ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკრაინელის გარშემო უამრავი ჭორი ვრცელდებოდა. ვიტალიმ ჯერ ვერ გაარკვია, თუ ვის უნდა დაპირისპირებოდა, შემდეგ მიზანში პიტერი ამოიღო, მაგრამ ნიგერიელი კარგა ხანს უარზე იდგა. აფრიკელი მანამ ჯიუტობდა, სანამ (კავშირი) WBC არ დაემუქრა ქამრის ჩამორთმევით. ბევრი რამ ამის შემდეგაც გაურკვეველი იყო, რადგანაც კლიჩკოსა და პიტერის შტაბები ვერაფრით თანხმდებოდნენ ისეთ დეტალებზე როგორებიცაა — თუ სად და როდის უნდა ჩატარებულიყო მოკრივეთა ბრძოლა, ვის რა ჰონორარი უნდა მიეღო და ასე შემდეგ.

საბოლოოდ 11 ოქტომბერზე შეთანხმდნენ და აგერ, ეს ჯახიც შედგა. თუმც კაცს ენა არ მოუბრუნდება, ამას ჯახი დაარქვას, რადგანაც კლიჩკომ აშკარად დაჯაბნა მეტოქე.

ეს ოთხი წელი თითქოს არც ყოფილიყოს, ვიტალიმ ჩვეულად დამაჯერებლად იბრძოლა. მან თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და მეტოქე ახლოსაც არ გაიკარა. უკრაინელი კარგად იყენებდა სიმაღლეში უპირატესობას და გრძელი ხელების წყალობით შორიდან უტევდა მეტოქეს, თან მას კონტრშეტევის საშუალებას უსპობდა. როგორც მის ძმა ხშირად აკეთებს ხოლმე, ვიტალიმ აქცენტი ჯებზე გააკეთა — ამით თავსაც იცავდა და ქულებსაც რეგულარულად აგროვებდა. მართალია, კლიჩკოს შეტევაში განსაკუთრებულად თავი არ გამოუჩენია, მაგრამ რამდენჯერმე მარცხენა ჰუკი ძლიერად კი შემოარტყა ნიგერიელს.

მოკლედ, მთელმა ბრძოლამ ასე ჩაიარა — პიტერი გარშემო უვლიდა მეტოქეს, მაგრამ საკმარისად ახლოს მისვლას ვერ ახერხებდა, რომ რაიმე სერიოზული დაზიანება მიეყენებინა. კლიჩკო კი თავს იდეალურად იცავდა და აქაიქ გააქტიურებით აფრიკელს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

დაახლოებით მეექვსე რაუნდისთვის კი გამოჩნდა, რომ კლიჩკო ფიზიკურადაც გაცილებით უკეთ იყო მომზადებული. ნიგერიელს აშკარად დაეტყო დაღლა, მაშინ როცა უკრაინელი ჩვეული ტემპით აგრძელებდა ბრძოლას. აფრიკელმაც თავადვე მოუღო ბოლო საკუთარ ჯახირს და მეცხრე რაუნდის დაწყებამდე რინგზე გასვლაზე უარი განაცხადა, რის გამოც უფროს კლიჩკოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაეთვალა.

„ვგრძნობდი, რომ კიდევ ერთი ან ორი რაუნდი და ისედაც დავანოკაუტებდი. უკვე ძლივს მოძრაობდა და ვეღარც მიტევდა, თანაც მას არც ისეთი ძლიერი ყბა აქვს, რომ ჩემი დარტყმებისთვის გაეძლო. დიდებული შეგრძნებაა ამ ქამრის ხელახლა მორგება“ — ხარობდა კლიჩკო.

ახლა საინტერესოა თუ რას აპირებს ვიტალი მომავალში, რადგანაც მძიმე წონაში დანარჩენი საჩემპიონო ქამრები — WBO, IBF და IBO — მის უმცროს ძმა ვლადიმირს უპყრია. ხოლო რადგანაც ძმები ისევ ერთხმად ამტკიცებენ, რომ ერთმანეთის პირისპირ დადგომას არაფრის დიდებით არ აპირებენ, გამოდის, რომ ვიტალის ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლის გამართვა არ შეუძლია.

უფროსი კლიჩკოს მომავალზე თავისებური ხედვა აქვს თანამედროვე კრივის ალბათ ყველაზე გაქნილ პრომოუტერ დონ კინგს, რომელიც იძახის, მოდით ვიტალი ლენოქს ლუისს დავაჯახოთო — ამ ბიჭებს წლების წინ საქმე გაურკვეველი დარჩათ და ეგებ ახლა უარი არ თქვან რინგზე გასვლაზეო.

ისე ეს ფანტაზიის ნაყოფი უფროა, მაგრამ ვინ იცის — სადაც კინგია ჩარეული, იქ არაფრის გამორიცხვა შეიძლება. ვინ იტყვის, რომ ეს გაიძვერა კაცი ამასაც ვერ მოაბავს თავს.

**ბახა ლომაშვილი**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 88 | ნოტსი-ბრენტფორდი | 2.50 | 3.30 | 2.65 | 1.42 | 1.28 | 1.46 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 101 | ბარტონი-მენსფილდი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 190 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 178 | ვერდერი-დორტმუნდი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 17:30 | 179 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 17:30 | 180 | ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 17:30 | 182 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 3.10 | 3.30 | 2.20 | 1.59 | 1.28 | 1.32 |
| 17:30 | 183 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 185 | კარლსრუე-ბაიერნი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 17:30 | 187 | კიოლნი-ენერგია | 1.75 | 3.40 | 4.35 | 1.15 | 1.24 | 1.90 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 188 | ჰამბურგი-შალკე | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 275 | მილანი-სამპდორია | 1.55 | 3.70 | 6.50 | 1.09 | 1.25 | 2.35 |
| 17:00 | 276 | ბოლონია-ლაციო | 3.00 | 3.10 | 2.35 | 1.52 | 1.31 | 1.33 |
| 17:00 | 278 | ლეჩე-უდინეზე | 2.65 | 3.00 | 2.65 | 1.40 | 1.32 | 1.40 |
| 17:00 | 280 | ჯენოა-სიენა | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 17:00 | 281 | ტორინო-კალიარი | 1.85 | 3.20 | 4.50 | 1.17 | 1.31 | 1.87 |
| 17:00 | 282 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.50 | 3.70 | 7.00 | 1.06 | 1.23 | 2.42 |
| 17:00 | 283 | რომა-ინტერი | 3.10 | 3.10 | 2.30 | 1.54 | 1.32 | 1.32 |
| 17:00 | 285 | კიევო-ატალანტა | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 17:00 | 286 | ნაპოლი-იუვენტუსი | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| 17:00 | 287 | კატანია-პალერმო | 2.45 | 3.10 | 2.90 | 1.36 | 1.32 | 1.49 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 49 | ალბინოლეფე-პიზა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 48 | პადოვა-ვენეცია | 1.95 | 2.90 | 4.35 | 1.16 | 1.34 | 1.74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი | | | | | | |
| | | I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 321 | ბეტისი-მალიორკა | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 322 | ვალიადოლიდი-უელვა | 1.85 | 3.20 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.84 |
| 19:00 | 323 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.65 | 3.20 | 2.55 | 1.44 | 1.29 | 1.41 |
| 19:00 | 325 | ატლეტიკო-რეალი | 2.65 | 3.20 | 2.55 | 1.44 | 1.29 | 1.41 |
| 19:00 | 326 | ვალენსია-ნუმანსია | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 19:00 | 328 | ბილბაო-ბარსელონა | 6.50 | 3.70 | 1.55 | 2.35 | 1.25 | 1.09 |
| 19:00 | 330 | რასინგი-დეპორტივო | 2.30 | 3.20 | 3.10 | 1.33 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 331 | ალმერია-სევილია | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 19:00 | 333 | ხიხონი-ოსასუნა | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| 19:00 | 334 | მალაგა-ხეტაფე | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| | | ესპანეთი | | | | | | |
| | | სეგუნდა B I ჯგუფი | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 47 | ლუანკო-პონფერადინა | 3.20 | 3.00 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 400 | ლანსი-გენგამი | 1.60 | 3.30 | 6.40 | 1.07 | 1.27 | 2.17 |
| | | საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:45 | 468 | პანსერაიკოსი-ასტერასი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 17:45 | 469 | ირაკლისი-ერგოტელისი | 1.85 | 3.25 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.79 |
| 20:00 | 471 | პანიონიოსი-არისი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 464 | ლევადიაკოსი-ქსანთი | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 20:00 | 466 | პაოკ-პანათინაიკოსი | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 16:00 | 470 | ოფი-თრასივულოსი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 17:45 | 472 | აეკ-ლარისა | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 20:00 | 474 | ოლიმპიაკოსი-პანთრაკიკოსი | 1.10 | 7.50 | 17.00 | 1.00 | 1.03 | 5.20 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 574 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.85 | 3.50 | 3.70 | 1.21 | 1.23 | 1.79 |
| 21:00 | 575 | ჰეკენი-მიალბიუ | 1.70 | 3.50 | 4.25 | 1.14 | -1.21 | 1.91 |
| 21:00 | 576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10049 | ალბინოლეფე-პიზა | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10400 | ლანსი-გენგამი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10574 | ვესბი-ბუნკეფლო | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10575 | ჰეკენი-მიალბიუ | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11049 | ალბინოლეფე-პიზა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11400 | ლანსი-გენგამი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11574 | ვესბი-ბუნკეფლო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11575 | ჰეკენი-მიალბიუ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15049 | ალბინოლეფე-პიზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15400 | ლანსი-გენგამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15574 | ვესბი-ბუნკეფლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15575 | ჰეკენი-მიალბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16049 | ალბინოლეფე-პიზა | 1.32 | 3.00 |
| 16400 | ლანსი-გენგამი | 1.22 | 3.40 |
| 16574 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.32 | 3.00 |
| 16575 | ჰეკენი-მიალბიუ | 1.24 | 3.60 |
| 16576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 1.55 | 2.20 |
| 16577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.34 | 2.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14049 | ალბინოლეფე-პიზა | 1.65 | 2.30 |
| 14400 | ლანსი-გენგამი | 1.30 | 2.50 |
| 14574 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.65 | 2:30 |
| 14575 | ჰეკენი-მიალბიუ | 1.45 | 2.40 |
| 14576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 1.80 | 2.00 |
| 14577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.70 | 2.20 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12049 | ალბინოლეფე-პიზა 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12400 | ლანსი-გენგამი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12574 | ვესბი-ბუნკეფლო 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12575 | ჰეკენი-მიალბიუ 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12577 | სირიუსი-იონჩიოპინგი 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13049 | ალბინოლეფე-პიზა | 1.90 | 1.70 |
| 13400 | ლანსი-გენგამი | 2.00 | 1.55 |
| 13574 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.60 | 2.00 |
| 13575 | ჰეკენი-მიალბიუ | 1.70 | 1.90 |
| 13576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 1.60 | 2.00 |
| 13577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.60 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17049 | ალბინოლეფე-პიზა | 1.85 | 1.95 |
| 17400 | ლანსი-გენგამი | 1.85 | 1.95 |
| 17574 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.85 | 1.95 |
| 17575 | ჰეკენი-მიალბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17576 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 1.85 | 1.95 |
| 17577 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## კერიკი და ჰარგრივსი ბრუნდებიან

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ტრავმირებული ნახევარმცველები, მაიკლ კერიკი და ოუენ ჰარგრივსი, შესაძლოა, უკვე შაბათს დაუბრუნდნენ მოედანზე. ამ დღეს „წითელი ეშმაკუნები“ პრემიერლიგის მორიგ ტურში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ ხვდებიან. კერიკმა „ლივერპულთან“ შეხვედრაში ფეხი დაიზიანა და მას შემდეგ მანკუნიანელთა უკვე ექვსი თამაში გამოტოვა. რაც შეეხება ჰარგრივსს, მას მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა, რომელიც ჯერ კიდევ მიუნხენის „ბაიერნში“ გამოსვლისას მიიღო.

## როსტმა გაახანგრძლივა

**გერმანულმა** „ჰამბურგმა“ მეკარე ფრანკ როსტთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 35 წლის გოლკიპერი ბუნდესლიგის კლუბში მინიმუმ მომავალი სეზონის ბოლომდე დარჩება. წარსულში როსტი გელზენკირხენის „შალკესა“ და ბრემენის „ვერდერშიც“ ირიცხებოდა.

## რაკიტიჩი და ბარსა?

**გელზენკირხენის** „შალკეს“ ნახევარმცველ ივან რაკიტიჩით „ბარსელონაც“ დაინტერესდა და ეგებ, ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი ზამთარში „ნოუ კამპზე“ აღმოჩნდეს. 20 წლის რაკიტიჩმა ამ სეზონში „ბუმარების“ შემადგენლობაში 6 თამაში ჩაატარა და ერთი გოლიც გაიტანა. რაკიტიჩს კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

## არსენალი დეფოთი დაინტერესდა

**ლონდონის** „არსენალი“ ლიეჟის „სტანდარდის“ კაპიტნით, სტივენ დეფოთი დაინტერესდა, თუმც „მეთოფეებს“ 20 წლის ბელგიელი ნახევარმცველის შესაძენად ამსტერდამის „აიაქსსა“ და „მიდლსბროსთან“ ჭიდილი მოუწევთ. ამ კლუბებს დეფოს ყიდვა ჯერ კიდევ ზაფხულში სურდათ.

## ვესტ ჰემი არ იყიდება

**ლონდონის** „ვესტ ჰემის“ ისლანდიელი მეპატრონე ბიორგოლფურ გუდმუნდსონი კლუბის გაყიდვას არ აპირებს. ფინანსურმა კრიზისმა ძალიან აზარალა ისლანდიური „ლანდსბანკი“, სადაც „ჩაქუჩების“ მფლობელი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობს. კრიზისის შედეგად ისლანდიურმა ბანკმა 300 მილიონი დოლარი დაკარგა, რის გამოც ინგლისურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გუდმუნდსონი კლუბის აქციათა ნაწილს გაასხვისებდა, თუმც ისლანდიელი ბიზნესმენი „ვესტ ჰემის“ ინვესტირებას ისევ განაგრძობს.

## იბიშევიჩი, სრნა და კომოლი

**პრემიერლიგის** „ტოტენჰემს“ იუგოსლავიური ორი ყოფილი რესპუბლიკის ფეხბურთელის შეძენა სურს. პირველი დონეცკის „შახტარის“ ხორვატი ნახევარმცველი დარიო სრნა არის. „ჩაქუჩები“ მის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქის გამოყოფას აპირებენ. 26 წლის ნახევარმცველით კი მადრიდის „რეალი“ და „ლივერპულიც“ არიან დაინტერესებულნი. ლონდონელთა მეორე სამიზნეს ბუნდესლიგის „ჰოფენჰაიმის“ ბოსნიელი თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი წარმოადგენს, რომელმაც გერმანიისპირველობის 7 მატჩში 7 გოლის გატანა მოახერხა.

ამავე დროს, „ჰოთსპურის“ ხელმძღვანელობამ კლუბის სპორტული დირექტორის დამიენ კომოლის კარისკენ მიუთითა. ფრანგ სპეციალისტს არასწორ სატრანსფერო პოლიტიკაში ადანაშაულებენ.

## მილანის სატრანსფერო გეგმები

**სერია A-ს** „მილანი“ სამომავლო ტრანსფერებს გეგმავს. „სან სიროზე“ გადასვლის კანდიდატებად ჟოაუ მოუტინიუ და სესკ ფაბრეგასი განიხილებიან.

მოუტინიუს ლისაბონის „სპორტინგთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და მილანელებს მის შესაძენად, სულ ცოტა, 20 მილიონი გირვანქის გამოყოფა მოუხდებათ. რაც შეეხება ფაბრეგასს, მას ამ ზაფხულს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებოდა, თუმც სესკმა „არსენალში“ დარჩენა არჩია. მომავალ წელს მის გადაბირებას იტალიური გრანდიც შეეცდება.

## ამაური და ნედვედი — სრული დატვირთვით

**ტურინის** „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ეროვნულ ნაკრებებში არგამოძახებულ ფეხბურთელებს ვარჯიში ჩაუტარა. გუნდთან ერთად სრულად დაიტვირთნენ ამაური და ნედვედი, რომელნიც აქამდე ტრავმებს იშუშებდნენ.

## უკმაყოფილო კრესპო

**მილანის** „ინტერის“ თავდამსხმელმა ერნან კრესპომ განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ბაზარზე, შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოს. ამ სეზონში არგენტინელი ფორვარდი „ნერაძურის“ შემადგენლობაში მოედანზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა და ისიც — „სამპდორიასთან“ შეხვედრაში შეცვლაზე შემოვიდა. კრესპო კლუბში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და მილანელთა პორტუგალიელი სპეციალისტის ჟოზე მაურინიუს მოღვაწეობითაც არ არის აღფრთოვანებული.

„მაურინიუ კარგი სპეციალისტია, მაგრამ იდეალური მწვრთნელი ნამდვილად არ არის. ასეთი, ჩემი აზრით, „მილანის“ დამრიგებელი კარლო ანჩელოტია“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

**არჩილ ძოძუაშვილი**

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# მსაჯის არგენტინული კომბინაცია

**არგენტინა 2:1 ურუგვაი**

1:0 მესი (6), 2:0 აგერო (13), 2:1 ლუგანო (40)

**არგენტინა:** კარისო, დემიკელისი, კამბიასო, ჰაინცე, ძანეტი, აგერო (დ. მილიტო 73), რიკელმე (ლედესმა 71), ტევესი, მასკერანო, ბურდისო, მესი

**მწვრთნელი:** ალფიო ბასილე

**ურუგვაი:** კასტილიო, ლუგანო, გოდინი, ფუსილე (კავანი 24), როდრიგესი (ჩევანტონი 74), კასერესი, სუარესი, აბრეუ (ბუენო 74), პერესი, პერეირა, ეგურენი

**მწვრთნელი:** ოსკარ ტაბარესი

**გაფრთხილება:** რიკელმე, ტევესი, ჰაინცე, მასკერანო, მესი, ეგურენი, გოდინი, სუარესი, ბუენო, პერესი

**მსაჯი:** ტორესი (პარაგვაი)

**კოლუმბია 0:1 პარაგვაი**

0:1 კაბანიასი (9)

**კოლუმბია:** აგუსტინი, იეპესი, ვარგასი, არმერო, ერნანდესი (ფერეირა 54), მუნიოსი (კვინტერო 54), გუარინი (რამოსი 72), პერეა, ბედოია, ზინუგა, რენტერია

**მწვრთნელი:** ედუარდო ლარა ლოსანო

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერონი, ხ. კასერესი, ბარეტო (ბონეტი 81), კაბანიასი (კარდოსო 85), ვერა, და სილვა, ვ. კასერესი, რივეროსი, ტორესი, ვალდესი (ბოგადო 75)

**მწვრთნელი:** ხერარდო მარტინო

**გაფრთხილება:** ბედოია, ვერა, კაბანიასი

**მსაჯი:** პეცოტა (არგენტინა)

**ბოლივია 3:0 პერუ**

1:0, 2:0 ბოტერო (4, 16), 3:0 გარსია (81)

**ბოლივია:** არიასი, რეიესი, რივერო, ფლორესი, ნარსია, ბოტერო, ვაკა (ტორიკო 80), კ. ვარგასი, რობლესი, მარტინსი (ესკობარი 64), რალდესი (გუტიერესი 88)

**მწვრთნელი:** ერვინ სანჩესი

**პერუ:** ბუტრონი, ვილჩესი, სამბრანო, ხ. ვარგასი, მარინო, ტორესი, ჩავესი (გუისასოლა 46), პრადო, დე ლა ხაზა, ფანო (რენგიფო 85), მისენი (აგირე 65)

**მწვრთნელი:** ხოსე დელ სოლარი

**გაფრთხილება:** ვარგასი, მარტინსი, ბოტერო, ხ. ვარგასი, ფანო, სამბრანო

**მსაჯი:** ბუიტრაგო (კოლუმბია)

**ვენესუელა — ბრაზილია**

**ეკვადორი — ჩილე**

**გუშინ გვიან დასრულდა**

**პარაგვაის** ნაკრები სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში დამაჯერებლად ლიდერობას აგრძელებს. კოლუმბიას პარაგვაისთან ვერც ახალმა მწვრთნელმა ედუარდო ლარამ უშველა, ვერც ახალმა ფეხბურთელებმა და ვერც საკუთარმა ქომაგებმა.

სტუმრებმა შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-9 წუთზე გაიტანეს. ლამაზი სანახავი იყო — პარაგვაელთა ფორვარდმა სალვადორ კაბანიასმა დაინახა, რომ კოლუმბიელთა მეკარე აგუსტინ ხულიო ოდნავ წინ გამოსული იყო და დაახლოებით 30 მეტრიდან ოსტატური დარტყმით ბურთი თავზე გადაავლო.

კოლუმბია, რომელსაც 9 მატჩში მხლოდ 4 გოლი გოლი აქვს გატანილი, დიდ ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მწვავე მომენტების შექმნა უჭირდა. მასპინძლებს საუკეთესო შანსი ბოლო წამებზე ჰქონდათ, მაგრამ დავიდ ფერეირამ ვერ იხეირა.

ურუგვაი არგენტინასთან მატჩის წინ ბევრს კი იმუქრებოდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ალბისელესტემ“ ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის შეგირდები ხელცარიელნი დატოვა.

ვინ გაიტანდა არგენტინელთა მხრიდან, თუ არა ლიონელ მესი და სერხიო აგერო, რომლებიც ბრწყინვალე ფორმაში არიან.

სტუმრებს შეუძლიათ, იმაზე დაიწუწუნონ, რომ პირველი გოლის გატანაში არგენტინელებს საგრძნობლად დაეხმარა მატჩის მთავარი მსაჯი, პარაგვაელი კარლოს ტორესი. მე-6 წუთზე ურუგვაის დაცვას ბურთი საკუთარი საჯარიმოდან გამოჰქონდა, მაგრამ ბურთი არბიტრს მოხვდა და ხუან რომან რიკელმეს მიუვიდა, ვინც ჩინებულად უპასა მესის და ბარსელონელის თავურიც ზუსტი იყო.

ურუგვაიმ გონს მოსვლა წესიერად ვერც მოასწრო, როცა არგენტინამ მეორე გაიტანა — კარლოს ტევესმა ესტებან კამბიასოს უპასა, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა, მაგრამ აგერო იქვე იყო და — 2:0.

ტაბარესის გუნდი გააქტიურდა და ერთი გოლი დამსახურებულად გაქვითა. ეს დიეგო ლუგანომ შეძლო. თუმცა მეორე ტაიმში არგენტინამ თამაში ჩაკეტა, მასპინძლებს იერიშებით თავი არ მოუკლავთ, ურუგვაი კი ძალიან იშვიათად ახერხებდა ხეირიანი შეტევების განხორციელებას და საბოლოოდ, „ალბისელესტემ“ ანგარიშის შენარჩუნება შეძლო.

აქამდე ბოლო ადგილზე მყოფმა ბოლივიამ კი შინ პერუ გაანადგურა და ცხრილის ფსკერს თავი დააღწია. მასპინძლებმა მეტოქეს დებიუტშივე მოუმთავრეს საქმე, ხოაკინ ბოტერომ დუბლი გააჩერხა და ნაკრებში თავისი გოლების რაოდენობა 17-მდე გაზარდა, რითაც ერთი გოლით გააუმჯობესა წინა რეკორდსმენის ვიქტორ უგარტეს შედეგი.

საბოლოო წერტილი კი 81-ე წუთზე ნახევარმცველმა რონალდ გარსიამ დასვა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| არგენტინა | 9 | 4 | 4 | 1 | 13:6 | 16 |
| ბრაზილია | 8 | 3 | 4 | 1 | 11:4 | 13 |
| ჩილე | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ურუგვაი | 9 | 3 | 3 | 3 | 17:8 | 12 |
| კოლუმბია | 9 | 2 | 4 | 3 | 4:8 | 10 |
| ეკვადორი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| ბოლივია | 9 | 2 | 2 | 5 | 11:20 | 8 |
| ვენესუელა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| პერუ | 9 | 1 | 4 | 4 | 5:19 | 7 |



არგენტინელი გაბრიელ ჰაინცე და ურუგვაელი მარტინ სისარესი

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

## კეიროშმა ვერ გააგორა

### ორთავიანმა კუმანმა ჰაანს მოუგო

**დანია 3:0 მალტა**

1:0 ლარსენი (9), 2:0 აგერი (31პ), 3:0 ლარსენი (47)

**დანია:** სორენსენი, პოულსენი, ლაურსენი, აგერი, ტ. რასმუსენი, ბოგელუნდი, იენსენი (კრისტენსენი 82), კალენბერგი (კრონ-დელი 60), ნორდსტრანდი, რომედალი, ლარსენი (მ. რასმუსენი 77)

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

**მალტა:** ჰაბერი, კსებერი, შემბრი (ბარბარა 61), აგიუსი (ნვოკო 80), აზოპარდი, ვუდსი, პეისი, კარუანა, დიმეხი, მიფსუდი (სცერი 87), ბრიფა

მწვრთნელი: დუშან ფიცელი

გაფრთხილება: აგიუსი, კსებერი

მსაჯი: ფანიაშვილი (საქართველო)

**შვედეთი 0:0 პორტუგალია**

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მაისტოროვიჩი, ჰანსონი, საფარი, ანდერსონი, ს. ლარსონი, ჰოლმენი, კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი, ელმენდერი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

**პორტუგალია:** კიმი, ალვეში, ფერეირა, ბოსინგვა, პეპე, მეირა, რონალდუ, მეირელეში, ალმეიდა (კვარეშმა 65), მოუტინიუ, ნანი (დანი 86)

მწვრთნელი: კარლუშ კეიროში

გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, კვარეშმა

მსაჯი: როზეტი (იტალია)

**უნგრეთი 2:0 ალბანეთი**

1:0 ტორგელე (49), 2:0 იუჰაზი (81)

**უნგრეთი:** ფულოპი, ბოდნარი, ლანჩაკი, იუჰაზი, შელესი, ჰალმოში, ჯუჯაკი, დარდაი, ტორგელე, ჰაინალი (გუსაკი 61), ჰუსტი

მწვრთნელი: ერვინ კუმანი

**ალბანეთი:** ბეგაი, ბეჩირი (კაპლანი 74), ვანგელი (ჰიკა 54; ბუნჯუ 83), დალკუცანა, ცური, აგოლი, დურო, შკელა, ლალა, ბოგდანი

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

გაფრთხილება: იუჰაზი, ბოდნარი, დალკუ შკელა

მსაჯი: ჩირკეტა (შვეიცარია)

**იოჰან ელმანდერმა** პირველ ტაიმში სამი ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა და შვედები პორტუგალიელებს დაუზავდნენ, რითაც დანიამ ისარგებლა — ცხრილის თავში მოექცა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კაპიტნის სამკლავური პირველად მოირგო, რაკი ჰენრიკ ლარსონი ტრავმირებული იყო.

მსაჯმა ყვითელი ბარათი ორჯერ ამოიღო და ორჯერვე მილანის „ინტერის" ლეგიონერებისთვის — კუარეშმა და იბრაჰიმოვიჩი გააფრთხილა.

„ფეხბურთელებმა დავალება შეასრულეს, მაგრამ უკეთესადაც შეიძლებოდა — თქვა ლარს ლაგერბეკმა — ჩვენ მეტი მომენტი გვქონდა და მოგებასთან უფრო ახლოს ვიყავით. მარტში სტუმრად პორტუგალიას ასეთივე ბრძოლას ვპირდები. თანაბარი ჯგუფია და უნგრეთს და ალბანეთსაც ვერ ჩამოვწერ".

„ბევრმომენტიანი მატჩი არ გამოვიდა — აღნიშნა კარლუშ კეიროშმა — ჩვენი ფეხბურთის თამაში გვსურდა, რომელიც ბურთის გაგორებაზეა აწყობილი, მაგრამ შვედებმა ამის საშუალება არ მოგვცეს და გრძელი პასების კეთება მოგვიწია".

სიორენ ლარსენმა ნოემბრის შემდეგ დანიის ნაკრების მაისურა პირველად მოირგო და მალტასთან უმალ დუბლი შეასრულა.

ჯერ მცველის მოგერიებული ბურთი შეაბრუნა კარში, მერე კი თავურით შეაგდო. მის გოლებს შორის აგერმა პენალტი გამოიყენა.

ჰოლანდიელი მწვრთნელების — ერვინ კუმანის და არი ჰაანის — ნაკრებთა შეხვედრა პირველის გამარჯვებით დასრულდა. ტორგეჰლმა და როლანდ იუჰოსმა თავურები გაუტანეს ალბანელებს, რომლებსაც ორ ტურში გოლი არ გაეშვათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

**მომდევნო ტური**

მალტა — უნგრეთი

პორტუგალია — ალბანეთი

II ჯგუფი

## ოტმარ ჰიცფელდის პირველი ნკუფოა

**შვეიცარია 2:1 ლატვია**

1:0 ფრაი (63), 1:1 ივანოვიში (71), 2:1 ნკუფო (73)

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხშტაინერი, გრისტინგი, ჯურუ (ეგიმანი 46), ჰაგელი, ბარნეტა, ინლერი, ფრაი (ჰაკან იაკინი 78), ნკუფო, ბეჰრამი, შპიხერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

**ლატვია:** ვანინი, ასტაფიევი, ლაიზანი, ივანოვი, კაჩანოვი, კარლსონსი, გორგკსი, პერეპლოტკინი (კოლესნიჩენკო 69), სოლონცინი, სავჩენკოვი, კაუნა (რუბინი 60)

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

გაფრთხილება: ლაიზანი, ასტაფიევი

გაძევება: ლაიზანი (69)

